პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

კვირა,
20
ივნისი
1937 წ.
№ 139 (4940)

მხურვალე ბოლშევიკური სალამი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) მებრძოლ ორგანოს, ლენინურ-სტალინური ნ[illegible] ლური პოლიტიკის ერთგულ გამტარებელს — „ზარია ვოსტ[illegible] სახელოვან XV წლისთავზე!

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და თბილისის კომიტეტი — „ზარია ვოსტოკას“

ბოლშევიკური სალამი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მებრძოლ ორგანოს „ზარია ვოსტოკას“ მისი თხუთმეტი წლისთავზე.

„ზარია ვოსტოკამ“ დიდი როლი ითამაშა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გატარების საქმეში, რაზმავდა რა ამიერკავკასიის მშრომელთა ფართო მასებს სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და თბილისის კომიტეტი დარწმუნებული არიან, რომ „ზარია ვოსტოკა“ მომავალშიაც მაღლა ატარებს **ლენინ-სტალინის** პარტიის უძლეველ დროშას, გაიშლებს ბოლშევიკურ კრიტიკას და თვითკრიტიკას, განუხრელად იბრძოლებს ბოლშევიზმის დაუფლების შესახებ დიდი **სტალინის** ლოზუნგის განსახორციელებლად, დაუნდობლად გამოამჟღავნებს და გაანადგურებს ხალხის მტრებს, შეამჭიდროვებს მშრომელ მასებს კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისათვის ბრძოლაში.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი და თბ. კომიტეტი.

სახელოვანი იუბილე

დღეს ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები და მათთან ერთად ამიერკავკასიის სოციალისტური რესპუბლიკის მთელი მშრომელი მოსახლეობა კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავს მებრძოლი კომუნისტური გაზეთის „ზარია ვოსტოკას“ არსებობის, ბრძოლისა და გამარჯვებათა 15 წლისთავს.

„ზარია ვოსტოკა“ შეიქმნა 1922 წელს როგორც საკ. კ. პ. (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ამიერკავკასიის ცაკის მებრძოლი ორგანო. მან თავიდანვე ბრწყინვალედ აითვისა ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის საუკეთესო ტრადიციები და ბრძოლის ის მეთოდები, რომლებიც ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში ჩაისახა და განვითარდა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის დიდი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით.

ამიერკავკასიის ფედერაციას, რომელიც 1922 წელს შეიქმნა ლენინისა და სტალინის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, უდიდესი ამოცანები ჰქონდა დასახული. ეს ამოცანები მდგომარეობდა, უწინარეს ყოვლისა, ამიერკავკასიის მშრომელ ხალხთა მეგობრული კავშირის აღდგენასა და განმტკიცებაში, ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის ურყევად გატარების საფუძველზე ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანებაში და მათ ეკონომიურ განვითარებაში დიდმპყრობლური ნაციონალიზმისა და ადგილობრივი შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქართველი ნაციონალ-უკლონისტები, ხალხის საზიზღარი მტრების, გერმანია-იაპონიის მოსყიდული აგენტების სამგზის წყეული ბუდუ მდივანის, მ. ოკუჯავას, ს. ქავთარაძის და სხვათა მეთაურობით, ყოველნაირად ცდილობდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის ჩაშლას, ისინი განაგრძობდნენ და კიდევ უფრო აღრმავებდნენ მენშევიზმის ტრადიციებს, ამიერკავკასიის ერების ერთმანეთზე წასისიანებას, ცდილობდნენ მათში ეროვნული შუღლის ჩამოგდებას და ამით ხელს უშლიდნენ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების განვითარებას.

დიდი სტალინის მიერ შექმნილმა ამიერკავკასიის სახელოვანმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, დიდი სტალინის უშუალო მზრუნველობითა და დახმარებით, გაანადგურეს ხალხის ეს საზიზღარი მტრები, განამტკიცეს ამიერკავკასიის ხალხთა სტალინური მეგობრობა და თანამშრომლობა, და წინათ ჩამორჩენილი ამიერკავკასიის აგრარული რესპუბლიკები გამოიყვანეს მოწინავე საბჭოთა რესპუბლიკების რიგებში.

ამიერკავკასიაში პარტიის პოლიტიკის ამ ბრწყინვალე გამარჯვებაში გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“ უდიდესი როლი ითამაშა. იგი იყო პარტიის უბასრესი იარაღი, რომელსაც მაღლა ეჭირა ლენინ-სტალინური ინტერნაციონალიზმის დროშა, რომელიც პარტიისა და ხელისუფლების გარშემო რაზმავდა მშრომელ ხალხს, ამაღლებდა მათ იდეურ-პოლიტიკურ დონეს, იგი დაუნდობლად, ლენინურ-სტალინური პრინციპულობით ამხელდა ხალხის საზიზღარ მტრებს, უკლონისტ-ტროცკისტებს, მემარჯვენე მახინჯებს და ყველა ჯურის სხვა კონტრრევოლუციონერებს, და ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ბასრი იარაღით ჰგმირავდა მათ. ამით აიხსნება ის უდიდესი სიყვარული და ავტორიტეტი, რომელიც მან სამართლიანად მოიპოვა ამიერკავკასიის მშრომელთა მასებში.

მრავალ მიღწევასთან ერთად მუშაობის ცალკეულ ეტაპებზე „ზარია ვოსტოკას“ წარსულ მუშაობას ახასიათებდა მთელი რიგი სერიოზული შეცდომებიც.

გაზეთმა, რომელსაც ერთ დროს რედაქტორობდა ამჟამათ გამომჟღავნებული ხალხის მტერი მამია ორახელაშვილი, ვერ შესძლო თავის დროზე ნიღაბი ჩამოეხსნა და ემხილებინა ხალხის დაუძინებელი მტერი, თვალთმაქცი ბ. ლომინაძე და მისი დამქაშები, რომლებმაც ხელთ იგდეს ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობა.

1931 წელს გაზეთმა სათანადო ბრძოლა ვერ აწარმოვა საკოლმეურნეო მშენებლობაში პარტიული ხაზის გამრუდებასთან, „ატამანშჩინასთან“ და ჯგუფობრიობასთან.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით და პირადად ამხანაგი სტალინის მითითებით — ამხანაგ ლავრენტი ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით იწყება ახალი მძლავრი მობრუნება ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში. ამის შემდგომი ისტორია არის ისტორია ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების გმირული ბრძოლისა პარტიის გენერალური ხაზის სიწმინდის დასაცავად, ამიერკავკასიის ხალხთა შორის სტალინური მეგობრობის განმტკიცებისათვის, ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სწრაფი კულტურულ-ეკონომიური აღმავლობისათვის.

ამ უკანასკნელი ხუთწლედის მანძილზე „ზარია ვოსტოკას“ ნაყოფიერი მუშაობა არაერთხელ აღუნიშნავთ პარტიის ცენტრალურ ორგანო „პრავდას“, ჟურნალ „პარტიინოე სტროიტელსტვოს“, „ბოლშევიკს“ და „ბოლშევისტსკაია პეჩატს“.

„ზარია ვოსტოკამ“ შესძლო სოციალისტური შეჯიბრების გაშლა ბეზენჩუკის მოწინავე რაიონსა და ამიერკავკასიის კოლმეურნეობებს შორის ყოველდღიურად, სისტემატურად და ოპერატიულად აშუქებ და შეჯიბრების მსვლელობას“ („პრავდა“), რითაც მან პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანა საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის ბრძოლა.

„ზარია ვოსტოკას“ მოღვაწეობის ისტორიის ფურცლებს ამშვენებს მისი საუცხოო გამოცემა „ძველი მუშების ნაამბობი დიდი ბელადის შესახებ“, სადაც მოცემულია თვითონ „ზარია ვოსტოკას“ მიერ შეგროვილი მასალები იმის შესახებ, თუ ხალხთა ბელადი დიდი სტალინი როგორ ჰქმნიდა საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს, როგორ რაზმავდა მასებს პროლეტარული რევოლუციისათვის, მენშევიკებისა და სხვა ლიკვიდატორების წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს კრებული დიდ სამსახურს უწევს პარტიულ მასებს საკ. კომ. პარტიის (ბ) ისტორიის შესწავლის საქმეში.

ამიერკავკასიის ფედერაციამ შეასრულა თავისი ისტორიული მისია და ბრწყინვალედ დაამთავრა თავისი მუშაობა. მრავალეროვნებიან ამიერკავკასიაში მან დაამყარა ხალხთა სტალინური მეგობრობა, ამიერკავკასიის რესპუბლიკები გადააქცია მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკებად, აყვავებული სოციალისტური სოფლის მეურნეობით, უძვირფასესი ტექნიკური, ციტრუსოვანი და სუბტროპიკული კულტურებით, მაღალ საფეხურზე აიყვანა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

ახალი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე ამიერკავკასიის ფედერაცია უკვე ლიკვიდირებულია. საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკები უშუალოდ შედიან საბჭოთა რესპუბლიკების დიად კავშირში, როგორც თანასწორუფლებიანი მოკავშირე რესპუბლიკები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით „ზარია ვოსტოკა“ კიდევ უფრო გააძლიერებს თავის მუშაობას ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შორის განუყრელი კავშირის განსამტკიცებლად, გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემს მათ, ვინც შეეცდება ამ კავშირის შესუსტებას.

„ზარია ვოსტოკა“, შეიარაღებული ბოლშევიკური პრესის საუკეთესო ტრადიციებით და ბრძოლის ბოლშევიკური მეთოდებით, შემდეგშიაც განაგრძობს თავისი ბრწყინვალე მოღვაწეობის გზას, კიდევ უფრო მაღლა ასწევს ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალიზმის დროშას, და კიდევ უფრო ბასრ იარაღად გადაიქცევა კომუნიზმის მტრების წინააღმდეგ.

მხურვალე სალამი სახელოვან იუბილიარს „ზარია ვოსტოკას“!

დადგენილება

საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარედ ამხ. მ. მ. ისაკაძის დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. მიხეილ მელიტონის-ძე ისაკაძე საქართველოს სსრ-უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობის ამსრულებელი — **გოჩაშვილი.**

1937 წ. 17 ივნისი. ქ. თბილისი.

ძირსდაუშვებლად გადაფრენა მარშრუტით მოსკოვი-ჩრდილოეთის პოლუსი-ჩრდილო ამერიკა



ძირსდაუშვებლად გადაფრენის, მარშრუტი მოსკოვი - ჩრდილოეთის პოლუსი - ჩრდილო ამერიკა, მონაწილენი საბჭოთა კავშირის გმირები ამხანაგები ჩკალოვი, ბაიდუკოვი და ბელიაკოვი

18 ივნისს გათენებისას, 4 საათსა და 05 წუთზე შჩელკოვოს აეროდრომიდან მიცემულ იქნა სტარტი

მოსკოვი, 18 ივნისი (საქდესი). მთავრობამ დააკმაყოფილა საბჭოთა კავშირის გმირების ამხანაგების ჩკალოვის, ბაიდუკოვისა და ბელიაკოვის თხოვნა, რომ მათ ნება დართოდათ გადაფრენილიყვნენ ჩრდილოეთის პოლუსით ჩრდილო ამერიკაში.

გადაფრენის მოსაწყობად გამოყოფილია მთავრობის კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. რუხიმოვიჩი, მ. კაგანოვიჩი, ა. ტუპოლევი, ი. ალქსნისი და იანსონი.

გადაფრენა ხდება თვითმფრინავით „ანტ-25“, რომელსაც აქვს მოტორი „ამ-34“. თვითმფრინავის ეკიპაჟს შეადგენენ საბჭოთა კავშირის გმირები, ამხანაგები ჩკალოვი, ბაიდუკოვი და ბელიაკოვი.

1937 წლის 18 ივნისს გათენებისას, 4 საათსა და 05 წუთზე, მოსკოვის ახლო მდებარე შჩელკოვოს აეროდრომიდან მიცემულ იქნა სტარტი, და თვითმფრინავმა აიღო კურსი მარშრუტით: მოსკოვი — თეთრი ზღვა, კოლის ნახევარკუნძული — ფრანც იოსების მიწა — ჩრდილოეთის პოლუსი და შემდეგ ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანით ჩრდილო-ამერიკისაკენ.

რადიოგრამები, მიღებული კომისიის მიერ თვითმფრინავიდან „ანტ—25“ გადაფრენის მსვლელობის შესახებ

5 საათი და 10 წუთი. მისმინეთ 54,92 მეტრის ტალღაზე, გადმომეცით 53,24 მეტრის ტალღაზე. ვიმყოფები უგლიჩში. სამოტორო ნაწილი კარგად მუშაობს. საუკეთესო სურვილები.

ბაიდუკოვი

6 საათი და 21 წუთი. თქვენი კარგად მესმის. ვიმყოფები ჩერეპოვეცში. მატერიალური ნაწილი საუცხოოდ მუშაობს. სალამი.

ბაიდუკოვი

7 საათი და 30 წუთი. თქვენი მივიღე. ვიმყოფები ბელოზერსკში. გზის სიჩქარე 160 კილომეტრია საათში. სიმაღლე 1.300 მეტრი. მატერიალური ნაწილი კარგად მუშაობს.

ბაიდუკოვი

8 საათი და 11 წუთი. ვიმყოფები ლეკშმოზეროში. სიმაღლე 1.370 მეტრი. ყველაფერი რიგზეა.

ბელიაკოვი

9 საათი და 25 წუთი. თქვენი მივიღე. ხელს გვიშლის ატმოსფერული განმუხტვა. სიმაღლე 1.430 მეტრი. ყველაფერი რიგზეა. ვიმყოფები ონეგაში.

ბელიაკოვი

10 საათი და 11 წუთი. ყველაფერი რიგზეა. სიმაღლე 1.150 მეტრი. ვიმყოფები — განედი 65 გრადუსი 05 წუთი, გრძედი 38 გრადუსი.

ბელიაკოვი

11 საათი და 24 წუთი. ყველაფერი რიგზეა. სიმაღლე 1.800 მეტრი. კოლის ნახევარკუნძული.

ბელიაკოვი

12 საათი და 32 წუთი. თქვენი არ მესმის. ვიმყოფები — განედი 68 გრადუსი. გრძედი 38 გრადუსი. სიმაღლე 2500 მეტრია. მივდივართ ღრუბელთა ორ შრეს შუა.

ბელიაკოვი

14 საათი და 05 წუთი. ყველაფერი რიგზეა. ვიმყოფები — განედი 70 გრადუსი 40 წუთი, გრძედი 38 გრადუსი. მისმინეთ 26,35 მეტრის ტალღაზე. 11 საათზე დავინახე გემი. გადმოგცემთ 26,35 მეტრის ტალღაზე.

ბელიაკოვი

15 საათი და 30 წუთი. ყველაფერი რიგზეა. მისმინეთ 26,36 მეტრის ტალღაზე. ცუდად მესმის 32.8 მეტრის ტალღაზე (გადმოცემა შესწყდა).

ბელიაკოვი

16 საათი და 30 წუთი. ყველაფერი რიგზეა. მისმინეთ 54,93 მეტრის ტალღაზე. მოსკოვის ცუდად მესმის. დიქსონის არ მესმის. ვიმყოფები განედი 72 გრადუსი და 07 წუთი, გრძედი 38 გრადუსი და 08 წუთი. საუცხოო ამინდია, ზღვა ღრუბლებით არის დაფარული. მოტორის ბრუნი 1.700. ჰაერის ტემპერატურა —10 გრადუსი ცელსიუმით. ფრენის სიმაღლე 2.800 მეტრი.

ჩკალოვი, ბაიდუკოვი, ბელიაკოვი

17 საათი და 23 წუთი. ყველაფერი რიგზეა. ვიმყოფები განედი 72 გრადუსი და 40 წუთი, გრძედი 38 გრადუსი და 10 წუთი. გვისმინეთ 54,92 მეტრის ტალღაზე.

ბელიაკოვი

19 საათი და 13 წუთი. ვიმყოფები დაახლოვებით გრძედის 44 გრადუსზე, განედის 76 გრადუსზე. ვუვლით ღრუბლებს კურსით 60. ზეთი რიგზეა. მოტორი კარგად მუშაობს. აცივდა, მივდივართ რუდოლფის მიმართულებით. გეზს ვაიღებთ შუქურის მიხედვით.

ბელიაკოვი

20 საათი და 30 წუთი. ყველაფერი რიგზეა. განედი 78 გრადუსი და 10 წუთი, გრძედი 51 გრადუსი. მივდივართ ბრმა ფრენით. სიმაღლე 4.080 მეტრი. თვითმფრინავი ცოტათი დაიფარა ყინულით.

ბელიაკოვი

22 საათი და 10 წუთი. ვიმყოფები ფრანც იოსების მიწაზე, ყველაფერი რიგზეა.

ბელიაკოვი

19 ივნისი, 2 საათი და 12 წუთი. ყველაფერი რიგზეა. მივდივართ 58 მერიდიანით პოლუსისკენ. მარჯვნივ ციკლონია. ქვემოდ სწორი ღრუბლის ფენაა. ფრენის სიმაღლე 4.400 მეტრია.

ბელიაკოვი.

4 საათი და 10 წუთი. ყველაფერი რიგზეა. ვიმყოფები განედის 85 გრადუსსა და 10 წუთზე, გრძედის 58 გრადუსსა და 00 წუთზე. ამინდი მშვენიერია.

ბელიაკოვი.

5 საათი და 10 წუთი. ყველაფერი რიგზეა. ვიმყოფები განედის 86 გრადუსსა და 20 წუთზე, გრძედის 60 გრადუსსა და 00 წუთზე. მოუვლით ციკლონს მარცხნით.

ბელიაკოვი.

6 საათი და 20 წუთი. თქვენი არ მესმის. ვიმყოფები განედის 87 გრადუსსა და 40 წუთზე, გრძედის 45 გრადუსზე.

ბელიაკოვი.

7 საათი და 15 წუთი. ვიმყოფები განედის 88 გრადუსსა და 40 წუთზე, გრძედის 33 გრადუსსა და 00 წუთზე.

ბელიაკოვი.

8 საათი და 15 წუთი. ყველაფერი რიგზეა, გადავფრინდით პოლუსზე, ზურგის ქარია, ყინულები, ღია თეთრი ყინულის მინდვრები ბზარებითა და ნაპრალებით. მხნეთა ვართ, ფრენის სიმაღლე 4.200 მეტრია.

ბელიაკოვი.

9 საათი და 32-37 წუთი. ყველაფერი რიგზეა. თქვენი არ მესმის.

ბაიდუკოვი.

10 საათი და 25 წუთი. ყველაფერი რიგზეა. სიმაღლე 4 ათასი მეტრია. ვიმყოფები დაახლოვებით განედის 84 გრადუსზე, დასავლეთი გრძედის 110 გრადუსზე.

მოსკოვი, კრემლი. სტალინს. პოლუსი უკან მოვიტოვეთ. მივდივართ მიუვალ პოლუსზე. აღსავსე ვართ სურვილით შევასრულოთ თქვენი დავალება. ეკიპაჟი თავს კარგად გრძნობს.

11 საათი და 15 წუთი. ყველაფერი რიგზეა. გადავდივართ ამერიკასთან კავშირზე. ფრენის სიჩქარე უდრის 200 კილომეტრს საათში. იმედი მაქვს 10 საათსა და 40 წუთზე (გრინვიჩის დროით) ვიქნე პატრიკის კუნძულზე.

ბელიაკოვი.

„ანტ—25“ პოლუსზე

მოსკოვი - ჩრდილოეთის პოლუსი - ჩრდილო ამერიკის გადაფრენის შტაბში მოდრეიფე ყინულის მეზამთრეებისაგან მიღებულია შემდეგი რადიოგრამა:

„გარკვევით გვესმოდა ჩვენს თავზე თვითმფრინავი.

პაპანინი, კრენკელი“.

„ანტ—25“-ის კავშირი ანკორეჯის რადიოსადგურთან

ნიუ-იორკი, 19 ივნისი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, სამხედრო სამინისტრო იუწყება, რომ ანკორეჯის რადიოსადგურმა თვითმფრინავ „ანტ-25“-გან 23 საათსა და 10 წუთზე ნიუ-იორკის საზაფხულო დროით მიიღო რადიოგრამა, რომელშიაც იუწყებიან თვითმფრინავის ადგილმდებარეობას. ამ რადიოგრამის თანახმად, თვითმფრინავი იმყოფებოდა: განედი 85 გრადუსი, გრძედი 58 გრადუსი.

ტრანსარქტიკის გადაფრენის მონაწილეთა დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებით

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: თვითმფრინავ „ნ—120“-ის ეკიპაჟი დაჯილდოვებულ იქნას სსრ კავშირის ორდენებით იმ განსაკუთრებული ოსტატობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა უძნელეს პირობებში გადაფრენისას შემდეგი მარშრუტით: მოსკოვი—კრასნოიარსკ—იაკუტსკ—ვერხნე—კოლიმსკ—ანადირი—შმიდტის კონცხი—ჩელიუსკინის კონცხი—დიქსონის კუნძული—ამდერმა—არხანგელსკ—მოსკოვი დაახლოვებით სულ 24 ათას კილომეტრის მანძილზე:

1. ხომალდ ნ-120-ის მეთაური, პილოტი ამხ. ფაბი ბრუნის-ძე ფარიხი — წინად შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვებული — ლენინის ორდენით,
2. მეორე პილოტი ამხ. ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე პაცინკო — შრომის წითელი დროშის ორდენით,
3. შტურმანი ამხ. ალექსანდრე პავლეს-ძე შტეპენკო — შრომის წითელი დროშის ორდენით,
4. პირველი ბორტმექანიკოსი ამხ. მიხეილ ივანეს-ძე ჩაგინი — შრომის წითელი დროშის ორდენით,
5. მეორე ბორტმექანიკოსი ამხ. ვიქტორ ალექსანდრეს-ძე დემიდოვი — საპატიო ნიშნის ორდენით.
6. ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს პოლარსამმართველოს უფროსი ამხ. აბრამ გრიგოლის-ძე ბასი — საპატიო ნიშნის ორდენით.
7. „პრავდის“ კორესპონდენტი ამხ. იშერ იზრაილის-ძე ნიურენბერგი — საპატიო ნიშნის ორდენით.
8. კინოოპერატორი ამხ. ევგენი ივანეს-ძე ეფიმოვი — საპატიო ნიშნის ორდენით.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. კალინინი.**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. აკულოვი.**

მოსკოვი. კრემლი.
1937 წ. 17 ივნისი.

სსრ კავშირს უნდა ჰქონდეს ყველაზე ძლიერი თავდაცვის უნარიანობა

ჩვენ მოვითხოვთ ახალი სესხის გამოშვებას

ამ დღეებში სადგ. თბილისის კონდუქტორთა მარქაფში შესდგა მიტინგი, რომელმაც მოისმინა პარტკომის მდივნის ამხ. მოველაძის ინფორმაცია ჯაშუშ-მავნებლების მიმართ გამოტანილ განაჩენზე და მოსკოვის რკინიგზელთა წინადადებაზე ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების სესხის გამოშვების შესახებ.

„საბჭოთა კავშირის მტრების, გესტაპოს საზიზღარი აგენტების, ტროცკისტების მავნებლური მოქმედების პასუხად, — ნათქვამია მიტინგზე გამოტანილ რეზოლუციაში, — ჩვენ, სადგურ თბილისის კონდუქტორთა მარქაფის მუშამოსამსახურენი, ვუერთდებით რა მოსკოვის რკინიგზელთა წინადადებას, მოვითხოვთ საბჭოთა მთავრობისაგან, რაც შეიძლება დაჩქარებით გამოუშვას ახალი სესხი, რათა ამით კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ ჩვენი სამხედრო ტექნიკა და სამხედრო თავდაცვის უნარიანობა.

ჩვენი ქვეყანა უძლეველია

თბილისის რაიაღმასკომის მუშა-მოსამსახურეთა მფრინავმა მიტინგმა მოისმინა პარტკომის მდივნის ამხ. ს. კურტანიძის ინფორმაცია მოსკოვის რკინიგზელთა წინადადებაზე ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების სესხის გამოშვების შესახებ.

— ჩვენი ქვეყანა უძლეველია, ვერავითარი ტუხაჩევსკები, იაკირები, კორკები, ეიდემანები, ფელდმანები და სხვა კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ-ზინოვიევურ-ბუხარინული პარაზიტები ვერ შეარყევენ სოციალიზმის ქვეყნის და მისი ერთგული დამცველი წითელი არმიის ძლიერებას. ყველა დივერსანტი, მავნებელი და ნაბოლარა ისევე გაისრისება პროლეტარული რევოლუციის რკინის ქუსლით, როგორც გაისრისა ჩვენი სამშობლოს რვა მოღალატე, ცოფიანი ძაღლი, — ასე აცხადებდნენ მიტინგზე გამოსული ამხ. სულთანაშვილი, გოგოლაძე, ბუხაიძე, გამყრელიძე, ბურკიაშვილი, ცომაია, ბასილაია, სამადბეგოვი და სხვ.

რაიაღმასკომის მუშა-მოსამსახურენი თავიანთ რეზოლუციაში მოითხოვენ, რათა საბჭოთა მთავრობამ დაჩქარებით გამოუშვას თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების სესხი.

მილიციის მუშაკთა გამოხმაურება

17 ივნისს, მუშაობის დამთავრების შემდეგ, შესდგა თბილისის მილიციის მე-7 განყოფილების მუშაკთა მფრინავი მიტინგი, რომელზედაც ინფორმაციით ახალი სესხის გამოშვების შესახებ გამოვიდა განყოფილების უფროსი ამხ. ს. ფრანგიშვილი.

მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ-ბუხარინელი ნაბოლარების ტუხაჩევსკის, უბორევიჩის, ფელდმანის, ეიდემანის, კორკის, იაკირის და სხვათა ბანდის მოქმედების პასუხად, რომელთაც სურდათ სისხლში ჩაეხჩოთ ჩვენი სოციალისტური სამშობლო, შეესუსტებინათ წითელი არმიის ძლიერება, ვთხოვთ საბჭოთა მთავრობას — დააჩქაროს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების სესხის გამოშვება.

მარელისელთა პასუხი

18 ივნისს მარელისის მუშათა კლუბში მოწვეულ სახელდახელო მიტინგზე, რომელსაც 500 მუშა-მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკოსი ესწრებოდა, მოისმინეს მოსკოვის რკინიგზელთა წინადადება ახალი სესხის გამოშვების შესახებ.

მიტინგზე მიღებოლ რეზოლუციაში ნათქვამია: „ჩვენ, მარელისის გრეხილი ავეჯეულობის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალი ვთხოვთ საბჭოთა მთავრობას — გამოუშვას ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების სესხი, — ეს იქნება გამანადგურებელი პასუხი საბჭოთა ხელისუფლების, მშრომელი ხალხის დაუძინებელ მტერთა, მავნებელ-დივერსანტთა მოქმედებაზე“.

კომუნისტი

კვირა, 20 ივნისი, 1937 წ. № 139 (4940)

მდგომარეობა ესპანეთში

ესპანეთის ფრონტებზე

(საქ. დეპ. სააგენტოს ცნობებით)

ცენტრალური ფრონტი

17 ივნისს მეამბოხეები განაგრძობდნენ მადრიდის განუწყვეტელ საარტილერიო ბომბარდირებას. რესპუბლიკელთა არტილერია ყუმბარებს უშენს მეამბოხეთა პოზიციებს ცენტრალური ფრონტის მთელ მანძილზე.

ბისკაის ფრონტი

მეამბოხეთა ავიაცია ყუმბარებს უშენდა სანტანდერისკენ მიმავალ გზებს, რათა ხელი შეეშალა ქალების, ბავშვებისა და მოხუცების ევაკუაციისათვის ბილბაოდან. ლტოლვილთა შორის დიდძალი მსხვერპლია.

ბილბაოდან უკანასკნელად მიღებული ცნობებით, ბასკთა ჯარი წინააღმდეგობას უწევს მეამბოხეებს ბილბაოს ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით. ბასკთა ჯარი წარმატებით გადავიდა კონტრშეტევაზე ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით სანაპიროს გასწვრივ. სანტა მარინასა და სან-როკის წინ მყოფმა მეამბოხეებმა, მიუხედავად გააფთრებული იერიშებისა, ვერ გაარღვიეს რესპუბლიკელთა ჯარის ხაზი.

არაგონიის ფრონტი

16 ივნისს მთელი დღის განმავლობაში გააფთრებული ბრძოლა სწარმოებდა უესკის სექტორში.

რესპუბლიკელთა ჯარმა დაიკავა დიომა, ტერასა და შემოუარა ჩიმილიას. რესპუბლიკელები ამ ოპერაციაში ინარჩუნებენ ინიციატივას და უტევენ მტერს ალერთან, სალიასის სამხრეთით. რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს 70 ტყვე, მათ რიცხვში 2 ლეიტენანტი, და დიდძალი საომარი საჭურველი.

რესპუბლიკელთა ავიაციამ უესკის სექტორში არაერთგზის დაუშინა ყუმბარები მეამბოხეთა პოზიციებს. ერთერთი ასეთი ბომბარდირების დროს რესპუბლიკელთა თვითმფრინავებმა გაუმართეს საჰაერო ბრძოლა მეამბოხეთა 20 ავიაგამანადგურებელთან. მეამბოხეთა ყველა თვითმფრინავი იტალიური წარმოებისაა. ფაშისტთა 5 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. რესპუბლიკელებმა ბრძოლის დროს დაჰკარგეს ერთი ყუმბარმტყორცნი თვითმფრინავი, რომლის ეკიპაჟი გადარჩა.

რესპუბლიკელთა ჯარმა გააფთრებული ბრძოლის შემდეგ უესკის სექტორში დაიკავა რამდენიმე სოფელი და განაგრძობს წინსვლას.

სამხრეთის ფრონტი

17 ივნისს რესპუბლიკელებმა დაიკავეს სოფელი კუენკა, ბადახოსის პროვინციაში. მტერმა დიდი ზარალი ნახა. რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს ტყვეები, აგრეთვე ტყვიამფრქვევები, შაშხანები და საომარი მასალა. მეამბოხეთა კონტრიერიში მოგერიებულ იქნა მეამბოხეებისათვის დიდი დანაკლისით.

ბასკთა მთავრობის ცნობა

ლონდონი, 17 ივნისი (საქდესი). ლონდონში მიღებული ცნობების მიხედვით, ბაიონაში (საფრანგეთ-ესპანეთის საზღვარზე) გამოქვეყნებულია ბასკთა მთავრობის ოფიციალური ცნობა, რომელშიაც ნათქვამია:

„ბასკთა მთავრობა ესპანეთის რესპუბლიკურ მთავრობასთან შეთანხმებით ბილბაოდან გაემგზავრა საომარ მოქმედებათა ხაზების უკან მდებარე სოფელში. ბილბაოში დატოვებული არიან მთავრობის წარმომადგენელნი, რომლებიც შეადგენენ თავდაცვის საბჭოს ოთხი მინისტრის შემადგენლობით. ვაჭრობის მინისტრი გაემართა სანტანდერისკენ, რათა განიხილოს ევაკუირებული სამოქალაქო მოსახლეობის კვების საკითხი".

მადრიდის სასურსათო მდგომარეობა გაუმჯობესდა

ლონდონი, 17 ივნისი (საქდესი). მადრიდში გამოქვეყნდა ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ სასურსათო მდგომარეობა ქალაქში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მადრიდი ყოველდღე იღებს 1.500 ტონა სურსათს, ნაცვლად 750 ტონისა მაისში.

გერმანიის სამხედრო ფლოტი გაიგზავნა ესპანეთის წყლებში

ბერლინი, 17 ივნისი (საქდესი). დღეს ესპანეთის წყლებში გაიგზავნა გერმანიის ახალი სამხედრო ხომალდები, სახელდობრ — კრეისერები „ნიურნბერგი" და „კარლსრუე", აგრეთვე საესკადრო ნაღმოსნები „გრეიფი", „კონდორი" და „მევე". ახალი ხომალდების გაგზავნას ხსნიან იმით, რომ აუცილებელია ესპანეთში მყოფ სამხედრო გემების „შეცვლა". გერმანიის სამხედრო გემების ახალ რაზმს მეთაურობს ვიცე-ადმირალი ბემი.

◇

გერმანიის ფაშისტები ჩავიდნენ დანციგში

ბერლინი, 17 ივნისი (საქდესი). გუშინ დანციგში 4 სპეციალური მატარებლით ჩავიდა გერმანიის ფაშისტთა რაზმი 500 კაცის შემადგენლობით, რომელსაც მეთაურობენ ეგრეთწოდებული „შრომის ფრონტის" ხელმძღვანელი ლეი და ფაშისტთა სხვა ლიდერები.

◇

გარდაიცვალა გასტონ დუმერგი

პარიზი, 18 ივნისი (საქდესი). გარდაიცვალა გასტონ დუმერგი. 1924-დან 1931 წლამდე დუმერგი იყო საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი. 1933 წლიდან ჩამოშორდა პოლიტიკურ მოღვაწეობას.

იტალიას განზრახვა აქვს გაგზავნოს ესპანეთში 30 ათასი ჯარისკაცი

პარიზი, 17 ივნისი (საქდესი). საფრანგეთის პრესის ცნობებით, იტალიას განზრახვა აქვს ივნისის ბოლომდე გაგზავნოს ესპანეთში კიდევ 2 დივიზია (30 ათასი ჯარისკაცი). ამ დივიზიების მეთაურები მათი შტაბებით უკვე ესპანეთში არიან.

◇ ◇ ◇

ანტიფაშისტური ფურცლები

პრაღა, 17 ივნისი (საქდესი). „დოიჩე ფოლქსცაიტუნგის" ცნობით, ამ ცოტა ხნის წინათ ბრესლავლის (გერმანია) მსხვილ საწარმოებში გავრცელდა ანტიფაშისტური ფურცელი „სახალხო ფრონტისთვის, ჰიტლერის ესპანური ავანტიურის წინააღმდეგ". ფურცელი მოუწოდებდა ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლისა და რესპუბლიკური ესპანეთისათვის დახმარების გაწევის ორგანიზაციისაკენ. გესტაპოს ცდა აღმოეჩინა საწარმოებში ამ ფურცლების გავრცელების წყარო, უშედეგოდ დამთავრდა. რამდენიმე დღის შემდეგ იმავე საწარმოებში გაჩნდა ახალი ფურცლები.

20 ივნისს საღამოს 7 საათზე წითელი არმიის სახლში შესდგება ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა და მუშკორთა საერთო საქალაქო კრება, მიძღვნილი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და თბილისის კომიტეტებისა და საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოს „ზარია ვოსტოკას" 15 წლისთავისადმი.

დღის წესრიგში დგას საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული პროპაგანდის, აგიტაციისა და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგის ამხ. ე. ბედიას მოხსენება:

„ზარია ვოსტოკას" თხუთმეტი წლისთავისა და ბეჭდვითი სიტყვის ამოცანების შესახებ".

შესვლა მოსაწვევი ბარათებით, რომელთა მიღება შეიძლება საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომებში და „ზარია ვოსტოკას" რედაქციის № 8 ოთახში.

ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი მოსკოვში

მოსკოვი, 17 ივნისი (საქდესი). 16 ივნისს, დღის 12 საათზე, ბ. მინისტრი მუნტერსი, ლატვიის ელჩი კოცინში და პირინი, რომელნიც ბ. მინისტრს ახლდნენ, ლატვიის მისიის წევრები და ლატვიის პრესის წარმომადგენლები, რიგიდან ჩამოსულნი, ათვალიერებდნენ თოფიარაღის პალატასა და კრემლს.

13 საათზე ბ. მუნტერსი ელჩის თანხლებით მიიღო სსრ კავშირის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა. საუბარს დაესწრნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. მ. მ. ლიტვინოვი და სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლატვიაში ამხ. ს. ი. ბროდოვსკი.

13 საათსა და 30 წუთზე ბ. მუნტერსი მიიღო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა.

საუბრის შემდეგ ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა, ბ. მუნტერსის პატივსაცემად გამართა საუზმე.

18 საათზე და 15 წუთზე ბ. მინისტრმა და მისმა თანამგზავრებმა ინახულეს მეტრო, გაიარეს რა კრასნიე ვოროტას სადგურიდან კიევსკაიას სადგურამდე.

22 საათზე გაიმართა დარბაზობა ლატვიის მისიაში. დარბაზობას დაესწრნენ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. მ. მოლოტოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მ. მ. ლიტვინოვი, კვების მრეწველობის სახალხო კომისარი ა. ი. მიქოიანი, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ამხ. გ. ნ. კამინსკი, თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ა. ი. ეგოროვი, თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე საზღვაო ძალების დარგში ფლოტის 1 რანგის ფლაგმანი ამხ. ვ. მ. ორლოვი, მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ს. მ. ბუდიონი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ვ. პ. პოტიომკინი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ს. კ. სუდინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ბ. ს. სტომონიაკოვი, უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ი. ი. მეჟლაუკი, ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. პ. მ. კერჟენცევი, სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლატვიაში ამხ. ს. ი. ბროდოვსკი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომლები, მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურები, საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და დიპლომატიური კორპუსი.

17 ივნისს, 10 საათსა და 30 წუთზე, ბ. მუნტერსმა და მისმა თანამგზავრებმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. მ. მ. ლიტვინოვის, ლატვიის ელჩ ბ. კოცინშის, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგის ამხ. ვ. ნ. ბარკოვის, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის დასავლეთის I განყოფილების გამგის მოვალეობის ამსრულებლის ამხ. ა. ვ. ფეხნერის თანხლებით ინახულეს ვოლგა-მოსკოვის არხი. სტუმრებმა დაათვალიერეს მე-8 რაბი, ხიმკის სამდინარო ვაგზალი და გაიარეს კატერ „კამანინით" არხში კლიაზმის წყალსაცავამდე და დაბრუნდნენ უკან ხიმკში.

საღამოს ბ. მუნტერსი დაესწრო „კარმენის" წარმოდგენას სსრ კავშირის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში.

◇ ◇ ◇

იაპონიის პრესის ყალბი ცნობები სასაზღვრო ინციდენტების შესახებ საბჭოთა კავშირ-მანჯურიის საზღვარზე

მოსკოვი, 17 ივნისი (საქდესი). ბოლო დღეებში იაპონიის დეპეშათა სააგენტო „დომეი ცუსინმა" და იაპონიისა და მანჯურიის მთელმა რიგმა გაზეთებმა კვლავ დაიწყეს კამპანია ათასგვარი ჭორების გასავრცელებლად საბჭოთა კავშირ-მანჯურიის საზღვარზე არსებული მდგომარეობის შესახებ. ასე, მაგალითად, „დომეი ცუსინი" აქვეყნებს თავისი ჩანჩუნელი კორესპონდენტის ცნობას, რომ, მანჯოუგოს მთავრობის ცნობებით, ბოლო დროს ვითომ იყო შემთხვევები მანჯურიის საზღვრის დარღვევისა „საბჭოთა ჯარების" და თვითმფრინავების მიერ.

ამასთან დაკავშირებით საქ. დეპეშათა სააგენტომ მიმართა კომპეტენტურ წრეებს და გამოარკვია, რომ ეს ცნობები, როგორც მოსალოდნელი იყო, იაპონიის განსაზღვრული სამხედრო-ფაშისტური წრეების ჩვეულებრივი ჭორებია, რასაც ისინი დროდადრო ავრცელებენ, რათა შეცდომაში შეიყვანონ იაპონიის საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც აფიქრებს საზღვარზე შექმნილი მდგომარეობა. საქ. დეპეშათა სააგენტოს განკარგულებაში არსებული ცნობები არა თუ არ ადასტურებენ „დომეი ცუსინის" ამ ცნობებს, არამედ, პირიქით, მოწმობენ, რომ წინანდებურად გრძელდება სსრ კავშირის საზღვრის დარღვევა იაპონია-მანჯურიის ჯარების მიერ. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა საქ. დეპეშათა სააგენტოს მიერ მიღებული სტატისტიკა გასულ მაისში საზღვარზე მომხდარი ინციდენტებისა. მარტო ამ თვის განმავლობაში საბჭოთა წარმომადგენლებმა ტოკიოსა და ხარბინში განაცხადეს პროტესტი იაპონია-მანჯურიის ჯარის ნაწილების მიერ სსრ კავშირის საზღვრის დარღვევის 14 შემთხვევის გამო. უმთავრესად ეს არის იაპონია-მანჯურიის შეიარაღებული რაზმების უკანონოდ შემოჭრა სსრ კავშირის ტერიტორიაზე (5 შემთხვევა) და სსრ კავშირის საზღვრების დარღვევანი იაპონიის მზვერავი თვითმფრინავების მიერ (4 შემთხვევა). გარდა ამისა, იყო შემთხვევები, როდესაც საზღვრიდან სროლა აუტეხეს სსრ კავშირის მესაზღვრე რაზმს ან მშვიდობიან მცხოვრებთ, აგრეთვე როცა მანჯურიის სამხედრო გემებმა დაარღვიეს საზღვრები. ყველა ამ პროტესტზე იაპონიისა და მანჯურიის ხელისუფალთაგან დამაკმაყოფილებელი პასუხი არ არის მიღებული.



კლარა ცეტკინი

(გარდაცვალებიდან 4 წლისთავის გამო)

4 წლის წინათ, 1933 წლის 20 ივნისს, ქ. მოსკოვში გარდაიცვალა კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული, სახელოვანი მებრძოლი, გერმანელი კომუნისტი ქალი კლარა ცეტკინი.

კლარა ცეტკინმა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე საერთაშორისო პროლეტარიატის განთავისუფლების საქმეს შესწირა. კლარა იყო ფრიდრიხ ენგელსის უკანასკნელი თანამედროვე, მარქსის ოჯახის მეგობარი, ლენინისა და სტალინის უახლოესი თანამებრძოლი.

კლარა ცეტკინი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს II ინტერნაციონალის პირველი კონგრესის მუშაობაში 1899 წელს ქ. პარიზში. კონგრესზე ის გერმანელი ამხანაგების წარმომადგენელია. აქ კ. ცეტკინი მთელი სერიოზულობით მოითხოვს მშრომელ ქალთა საერთაშორისო გაერთიანებას, ცდილობს პროლეტარ ქალთა ჩაბმას კლასობრივ ბრძოლაში. კ. ცეტკინმა ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ მიაღწია იმას, რომ მეორე ინტერნაციონალის კონგრესმა 1910 წელს დააწესა ქალთა საერთაშორისო დღის, როგორც ქალთა ბრძოლის დღის ყოველწლიურად აღნიშვნა.

კ. ცეტკინმა პირველმა დაუჭირა მხარი 1905 წლის რევოლუციას, მან პირველმა სცნო 1905 წლის რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა, ის პროპაგანდას ეწეოდა რუსეთში მომხდარი ამბების განსამარტავად გერმანიის მუშებს შორის.

ხოლო როდესაც დაიწყო მსოფლიო იმპერიალისტური ომის ცეცხლი, როდესაც გამხეცებულ კაპიტალიზმს მისი მტაცებლური გეგმების განხორციელებისათვის გვერდში ამოუდგა II ინტერნაციონალი, კლარა ცეტკინმა როზა ლუქსემბურგთან და სხვებთან ერთად ენერგიული მუშაობა გასწია, იმისათვის, რათა ემხილებინა II ინტერნაციონალის ოპორტუნისტი ბელადების გამცემლური პოლიტიკა.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციას კ. ცეტკინმა მთელი არსებით დაუჭირა მხარი. ის ყველგან და ყოველთვის იცავს ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებას. 1919 წლის მარტში უკვე ოფიციალურად გადადის კომპარტიაში, ხოლო 1920 წელს პირველად ჩამოდის საბჭოთა კავშირში და მონაწილეობს III ინტერნაციონალის კონგრესის მუშაობაში. კომინტერნის მეორე კონგრესმა კ. ცეტკინი აირჩია ინტერნაციონალის აღმასკომის ქალთა სამდივნოს ხელმძღვანელად.

გერმანიაში ხელისუფლების სათავეში ფაშიზმის ჩადგომას კლარა ცეტკინი შეურიგებელი ბრძოლით ხვდება. ის მოუწოდებს გერმანიის და მთელი მსოფლიოს მშრომელებს შექმნან ერთიანი ფრონტი ფაშიზმის წინააღმდეგ.

გერმანიის რევოლუციური მუშათა კლასი კლარა ცეტკინს ირჩევს გერმანიის რეიხსტაგის დეპუტატად. ფიზიკურად უძლური, ღრმად მოხუცი, დაავადებული კლარა მიემგზავრება ფაშისტურ გერმანიაში, რომ რეიხსტაგის ტრიბუნიდან უშიშრად ახალოს სიმართლე პირში ფაშისტ ბარბაროსებს.

კლარა ცეტკინი უკანასკნელად სათავეში ედგა რევოლუციის მებრძოლთა დამხმარე საზოგადოებას — რემედასს. ის ყოველმხრივ სცდილობდა რემედასის რიგებში შეგროვილი სახსრებით ხელი გაემართნა ფაშიზმის ტერორის მსხვერპლთათვის, ის იბრძოდა, რათა რემედასელთა ხელშეწყობით მორალური დახმარება გაეწია და გამარჯვების რწმენა ჩაენერგა რევოლუციონერთათვის, რომლებიც ფაშიზმმა რკინის ხუნდებში ჩასჭიდა და საკონცენტრაციო ბანაკებში მოათავსა.

კ. ცეტკინის ნათელი ხსოვნა უნდა აღინიშნოს რემედასის რიგების ზრდით, რემედასელთა მეტი აქტივობით. ასეთია რემედასის აღმასკომის დადგენილება. ამ დადგენილებას საქართველოს რემედასის ორგანიზაციებმა პრაქტიკული მუშაობის გაძლიერებით უნდა უპასუხონ. ეს იქნება ხელთუქმნელი ძეგლი პროლეტარული რევოლუციისათვის — კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული მებრძოლის კლარა ცეტკინის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

დაზვერვა და კონტრდაზვერვა*

რაც შეეხება მოხალისე მზვერავებს, მსოფლიო ომის ჩემპიონად უნდა ჩაითვალოს ერთი ბელგიელი, რომელიც ოკუპაციის მომენტში ლიეჟის ფოლადის სამსხმელო ქარხნებში მუშაობდა. ამ პატრიოტის ინიციატივა და მუშაობის მეოხებით მოკავშირეები იღებდნენ ცნობებს გერმანელთა ყველა სამხედრო მატარებლის შესახებ, რომლებიც ლიეჟზე 22 აგვისტომდე გადიოდნენ; ამ თარიღის შემდეგ უკვე [illegible] იყო, ვისი საშუალებითაც ის გაგზავნიდა ცნობებს, რომლებსაც წინათ ინგლისში მიმავალ ლტოლვილებს ატანდა. მრავალი დღის განმავლობაში იგი იმალებოდა სადრენაჟო მილში, ყრილის ქვემოთ, და თვალს ადევნებდა მატარებლებს და სთვლიდა ვაგონებს, როდესაც ისინი მის თავზე გადადიოდნენ. მას საოკუპაციო ჯარების არტილერიისა და სხვა სპეციალური ნაწილების აღნიშვნაც კი შეეძლო. მას რომ მიეღო სპეციალური მომზადება საიდუმლო სამსახურისათვის, მაშინაც არ შეეძლო საქმის უფრო მეტი ცოდნით მოქცევა, ამასთან ყველა მიღებულ ცნობას იგი თავის დროზე აწვდიდა ინგლისელებს.

ის გარემოება, რომ სამხედრო დაზვერვის მნიშვნელოვანი ნაწილი მსოფლიო ომის დროს დაკისრებული ჰქონდა სამოქალაქო მოსახლეობას, აიხსნება იმით, რომ სამხედროები მეტად ფრთხილნი იყვნენ ან უგულებელჰყოფდნენ მუშაობას მოწინააღმდეგის ზურგში. სამოქალაქო მოსახლეობას, რომელიც ცხოვრობს იმ ზონაში, სადაც შეიარაღებული შეტაკება ხდება (მაგალითად, არმანტიერთან ზოგიერთი ოჯახი ცხოვრობდა სანგრებიდან 750 მეტრ. ნაკლებ მანძილზე), მისდა უნებურად ავალებენ საიდუმლო სამხედრო სამსახურს. დაზვერვა წარმოადგენს ისეთსავე ძნელ პროფესიას, როგორიცაა სცენაზე თამაში ან პიესების წერა—ასპარეზს, რომელზედაც თითქმის თვითეული გრძნობს თავს მოწოდებულად იყოს დიდი. იმავე დროს კონტრდაზვერვა, ე. ი. მოწინააღმდეგის მზვერავთა მხილება, მილიონობით ადამიანების წადილს წარმოადგენს. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ჰყიდიან ცნობებს გამორჩენისათვის. ომის გამოცხადებისთანავე ეს ადამიანები (უფრო ხშირად ნეიტრალური ქვეყნების მოქალაქეები) და ყოველგვარი რენეგატები, ყოფილი ბოროტმოქმედნი და თაღლითები მიეშურებიან იმათკენ, ვინც უფრო დიდ ფასს მისცემს. სამხედრო გასამართლება და დახვრეტა რომ არა, ამ ტურების დიდი ხროვები ითარეშებდნენ სამხედრო მოქმედებათა მთელ ასპარეზზე. გასაოცარია, რომ ის ბედი, რომელიც მათ ჩავარდნის დროს მოელით, არ აჩერებს ამ გამყიდველ მოთვალთვალეებს. მას შემდეგ, რაც ამ ბრბოდან რომელიმე ჩავარდება, გასამართლებული იქნება და დაიხვრიტება, ისინი ჰქრებიან ან სხვა ბანაკში გადადიან. ამიტომ იყო, რომ ომის დროს ორივე მეომარი მხარე იუწყებოდა მზვერავთა დახვრეტის შესახებ.

მზვერავის ან კონტრმზვერავის მუშაობა, ამ მუშაობის მნიშვნელობა და რისკი პროფესიულ საიდუმლო აგენტთაგან თითქოს განსაკუთრებულ კასტას ჰქმნიან. ისინი ყოველთვის არ არიან საიდუმლოებით მოცულნი, როგორც რომანებშია. მათ უხდებათ გაცილებით უფრო მეტი მოსაწყენი, ყოველდღიური მუშაობის შესრულება, ვიდრე ეჩვენება იმას, ვინც მათ საქმიანობას რომანტიკული თვალსაზრისით უცქერის. ისინი შეიძლება იყვნენ პატრიოტები, თავის პირად ცხოვრებაში სარგებლობდნენ პატიოსანი ადამიანის რეპუტაციით, მათი ცხოვრება იქნება შედარებით მოწყენილი, მშვიდი და პროზაული. მათთვის შეიძლება უცხოც იყოს ეგრეთწოდებული თავგადასავალთადმი მიდრეკილება, და მათთვის ყველაზე უკეთესია ის, რომ არა აქვთ მიდრეკილება თავისი პროფესიის დრამატიზაციისადმი. მაგრამ ისინი თავგადასავალთა მაძიებელნი არიან. და მათი პროფესია მოითხოვს იმ თვისებათა საინტერესო შეხამებას, რომლებიც არა ჰგავს იმ თვისებებს, რაც სჭირდებათ ჯარისკაცს ან მკვლევარს, დაქირავებულ მეომარს, სპეკულანტს, კონტრაბანდისტს ან კანონის რომელიმე სხვა დამრღვევს. თვითეული პროფესიული მზვერავი უნდა იყოს ნიჭიერი ლინგვისტი, რომელსაც შეეძლება თავისუფლად ილაპარაკოს მისთვის საჭირო ენებზე სწორი აქცენტით ან სრულიად უაქცენტოდ, მის მიერ ნაკისრი როლის ხასიათისაგან დამოკიდებით.

გარდა ენებისა და სამხედრო საკითხების ტექნიკური ცოდნისა, რის მიცემაც შეუძლიან სკოლას, საიდუმლო აგენტს უნდა ჰქონდეს ისეთი თანდაყოლილი თვისებები, როგორიცაა სიმამაცე, სიდინჯე, სიმშვიდე, წარმოსახვა და სხვ. არსებობს ყოფაქცევის რამდენიმე ძირითადი წესი, რომელიც უნდა იცოდეს თვითეულმა პროფესიულმა მზვერავმა, და მას უნდა სწამდეს ამ წესების სამართლიანობა და აუცილებლობა.

ზოგიერთი მზვერავი შეშინდებოდა ხოლმე პირველსავე მომენტში და სწრაფად გამოტყდებოდა ყველაფერში. ბევრი მათგანი ლაჩრულად ამტკიცებდა, რომ ისინი „მხოლოდ სწავლობდნენ მოწინააღმდეგის მორალური მდგომარეობის დაცემას". პატრიოტი მზვერავები თავის თავს ნებას აძლევდნენ გამოემჟღავნებინათ თავიანთი მგზნებარე პატრიოტიზმი, როდესაც გაიგონებდნენ თავიანთი არმიის გამარჯვებას ან, რაც უფრო უარესია, ცდილობდნენ გამოეთქვათ სიხარული თავისიანების დამარცხების გამო, რაც ნამდვილად სწყინდათ და ლახავდა მათ სიამაყეს. მაგრამ ისინი სჩანს, განზრახ უგულებელჰყოფდნენ ფაქტებს და იუწყებოდნენ ხმების შესახებ, ამასთან არ იხსენიებდნენ, როგორც ეს მზვერავმა უნდა ჰქნას, რომ ეს მხოლოდ ხმებია. გერმანელი მზვერავები მუდამ ეწეოდნენ პროპაგანდასა და დივერსიას; ერთიც და მეორეც სამხედრო მოქმედებაა, მაგრამ ამას უნდა ასრულებდნენ სპეციალური აგენტები, რომელთა ჩავარდნაც საფრთხეში არ ჩააყენებს სხვა მზვერავებს და არ დაარღვევს დაზვერვის სისტემას, რომლის ხელახლა მოგვარება ჩავარდნის შემდეგ მხოლოდ დიდი შრომით შეიძლება.

შტიბერის დროიდან არსებობდა დოქტრინა იმ პირთა ინდივიდუალური დამსახურებისა და საზოგადოებრივი ღირსების შესახებ, რომლებიც ეწეოდნენ დაზვერვას, სამთავრობო შეთქმულებებს და საიდუმლო, მაგრამ მაინც ოფიციალური ხასიათის სხვა ამგვარ საქმეებს. ზოგი ფიქრობდა, რომ უმაღლესი საზოგადოების პირებიც უნდა ეწეოდნენ დაზვერვას, და გერმანიის სადაზვერვო ხელმძღვანელობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შპიონაჟი გაცილებით უფრო „საპატიო საქმეა", ვიდრე რეგულარული შესრულება თავისი ყოველდღიური მოვალეობისა არმიაში. ნამდვილად, მიუხედავად შტიბერის დებულებისა საიდუმლო სამსახურის პრიმატის შესახებ და მასში ჯენტლმენების, ლორდების მონაწილეობისა, აგრეთვე ძვირად ღირებული სადაზვერვო სკოლების არსებობისა,— აგენტთა დიდმა ნაწილმა ძალიან ცოტა რამ ან საერთოდ არაფერი არ იცოდა დაზვერვის შესახებ. აგენტები შერჩეულ და მომზადებულ იქნენ იმისათვის, რომ გაეწიათ განსაზღვრული სამსახური თავიანთი უფროსებისა და დამქირავებლებისათვის, ამასთან მათ არ ეძლეოდათ არავითარი მითითება, თუ როგორ გადაერჩინათ თავიანთი სიცოცხლე და როგორ აემაღლებინათ თავიანთი კვალიფიკაცია. მიღებულია ის აზრი, რომ დაქირავებული აგენტი რამდენიმე ხნის შემდეგ მუდამ ზედმეტ ბარგად ხდება. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ აზრს გაძლიერებით უსვამდნენ ხაზს, ხოლო აგენტთა მომზადებას მაინც უგულებელჰყოფდნენ, არავითარი საფუძველი არა გვაქვს გავიკვირვოთ, რომ მოკავშირეები აღმოაჩენდნენ ხოლმე მრავალ დაქირავებულსა და პროფესიონალს, რომლებიც არ წარმოადგენდნენ მოხალისეებსაც კი თავისი საქმის ცოდნის თვალსაზრისით.

ევაზე, აღმზრდელ ქალზე, რომელმაც ლონდონის ერთერთ ცნობილ სახლში მიიღო ადგილი, მიიტანეს ეჭვი, რომ ის ჯაშუშობდა და დაჰკითხეს. იგი მაშინვე შეშინდა და გამოტყდა თავის განზრახვებში, მაგრამ განაცხადა, რომ ამ მომენტამდე არ ჰქონია შემთხვევა მიეღო ფასის მქონე რაიმე ინფორმაცია. ნამდვილად კი მას ჰქონდა საუცხოო შემთხვევები მანამდე, ვიდრე ეჭვს აღუძრავდა, მაგრამ მან სრულებით არ იცოდა ის თამაში, რომელშიც ჩაება. ამ ქალმა გულუბრყვილოდ აღიარა ესეც. მან სთქვა, რომ ინგლისში გამოგზავნა თავისმა მიჯნურმა და უნდოდა გამხდარიყო ჯაშუში, რომ მისთვის ესიამოვნებინა. მიჯნურის ნაზი მადლობის დამატებით მას ყოველთვიურად უნდა მიეღო ორასი მარკა.

გერმანელი მზვერავები დროს ჰკარგავდნენ ნარკომანებზე, უბადრუკ და საზიზღარ არსებებზე, რომელთაც ნარკოტიკული საშუალებანი სწყუროდათ და ამისთვის მზად იყვნენ ყველაფერი ჩაედინათ. გერმანელ ქიმიკოსებს შეეძლოთ უხვად ეგზავნათ მათთვის ეს საქონელი, და ნარკოტიკული საშუალებებით სავსე პატარ-პატარა პაკეტებს შვეიცარიიდან საფრანგეთში მიმავალი სატვირთო მატარებლების ვაგონებს ქვეშ აკრავდნენ. მაგრამ აგენტები, რომლებიც ამ საშუალებებს პარიზის ნაძირალებს შორის ანაწილებდნენ, ბავშვურად იქცეოდნენ, თუ ფიქრობდნენ, რომ ნარკომანს შეუძლიან ზუსტი სამხედრო ცნობები ჰქონდეს, ან შეუძლიან გაერკვეს ამ ცნობებში, შემთხვევით კიდევაც რომ წააწყდეს მათ. დამნაშავეს, რა თქმაუნდა შეიძლება ნარკოტიკების გულისათვის მკვლელობა ან ქურდობა ჩაედინინა, მაგრამ საიმედო ადამიანები, რომლებსაც ხელში ჰქონდათ მნიშვნელოვანი სამხედრო საიდუმლოებანი, ომის პერიოდში არასოდეს არ ეკიდებოდნენ დაუდევრად თავის მოვალეობას. და ამიტომ ისინი კარგად დაცული იყვნენ დამნაშავე ელემენტებისაგან.

მზვერავის მცნებები უნდა შეიცავდნენ ბევრ უცნაურ მოთხოვნას და მათ შორის მოთხოვნას — არ გამოიჩინო თავისი დამახასიათებელი ეროვნული ნიშნები. ფრანგ აგენტებს აფრთხილებდნენ, რომ ისინი გადამეტებულ თავაზიანობას მორიდებოდნენ. ერთი მათგანი მიუნხენში თავს ასაღებდა ბერლინის რომელიღაც კონცერნის კომისიონერად, ის პოლიციის ჩაუგდო ხელში რესტორანის კელნერმა ქალმა. მან სთქვა, ეს კაცი ყველაფერზე მადლობას მეუბნებოდა, რასაც კი მივუტანდითო; ხშირად წარმოთქმულმა „გმადლობთ" დაარწმუნა კელნერი ქალი, რომ ეს კაცი ის არ იყო, რადაც თავს ასაღებდა. მსოფლიო ომის დასაწყისში, როდესაც ომში გერმანიის მდგომარეობა ხელსაყრელი სჩანდა, ზოგიერთ გერმანელ აგენტს თავისი აღტაცების დამალვა უჭირდა. თავხედ ან უხეშ, თვითკმაყოფილ, მანჭვაგრეხია ან ყბედ აგენტს გაცილებით უფრო ადრე ჩამოახრჩობენ, ვიდრე ზრდილობიან, წინდახედულ და თავშეკავებულ მზვერავს.

ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო იქნებოდა გვეამბნა მზვერავებზე, რომლებიც დაჯილდოვებული არიან სასცენო ნიჭით, იკეთებენ გრიმსა და ყალბ ულვაშებს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ თანამედროვე მზვერავები იშვიათად იკეთებენ ნიღაბს, თუ შეუძლიანთ თავი დააღწიონ ამას. ყალბი სახელი პასპორტში ან ამერიკული კოსტიუმი გერმანელ მეზღვაურზე — აი თანამედროვე შენიღბვა. ყოვლად დაბალი ყაიდის პროფესიონალ ინფორმატორს შეუძლიან თავი გაასაღოს ჯენტლმენად, მდაბიო წარმოშობის ადამიანი თავს ასაღებს ჰერცოგად, რომელიც ინკოგნიტოდ (სახელის გაუმჟღავნებლივ) მოგზაურობს, — აი ეს არის შენიღბვა. შენიღბვის ძალიან ძნელი, გაბედული და სრულებითაც არა იშვიათი ხერხია თავის გასაღება მოწინააღმდეგის არმიის ან ფლოტის ოფიცრად. საიდუმლო სამსახურთა ყველა უფროსმა იცის, რომ პანიკა, რომელიც მოიცავს ყველა ქვეყნის სამოქალაქო მოსახლეობას ომის დასაწყისში, სხვადასხვა ხმები, შპიონომანია, — ყოველივე ეს ხელს უწყობს მოწინააღმდეგის აგენტთა პირველი ნაბიჯების დაფარვას. საერთო აღელვებასა და ყველა შემთხვევითი ეჭვისა და ყალბი განგაშის თაობაზე კონტრდაზვერვის ორგანოებისადმი მიმართვას ნამდვილი მზვერავი იყენებს როგორც შენიღბვის საუკეთესო ხერხს. იგი ბრბოსთან ერთად გაიქცევა და მოითხოვს თვითეული აშკარა უცხოელის დაპატიმრებას ანდა, პირიქით, გაემიჯნება გაშმაგებულ პატრიოტებს, გულდამშვიდებით დაიკავებს თავის პოზიციას (რომელსაც შემდეგში დაზვერვისათვის გამოიყენებს) და მშვიდობიანი, ნორმალური ცხოვრებით ყველაზე ფხიზელ ადამიანებს შეიყვანს შეცდომაში.

ამერიკელი საიდუმლო აგენტი, რომელსაც მსოფლიო ომის პერიოდში დაავალეს თვალყური ედევნებინა სონორის გუბერნატორისათვის, ცნობილ გერმანოფილ პლუტარხ ელიას კალესისათვის, მექსიკელად ასაღებდა თავს. იგი მთელ კანს იოდით იფარავდა, ხოლო როდესაც ეს საშუალება მეტისმეტად მტკივნეული აღმოჩნდა, ის ტალახს ურევდა იოდს.

ამ აგენტის სიმარჯვე იქიდან სჩანს, რომ მას ნებადართულიც კი ჰქონდა ზოგიერთ მნიშვნელოვან შემთხვევაში სონორის დიქტატორის მატარებლით ესარგებლნა.

გამოცდილმა აგენტმა იცის, როგორ იმოქმედოს, რომ ეჭვი არ გამოიწვიოს, იგი ყველაზე უკეთესად დაჰფარავს თავის სახეს უხეშობის ან სისულელის ნიღაბ ქვეშ: სპორტსმენი ზანტ, მოუხეშავ კაცად იქცევა, შნოიან ოფიცერს და განათლებულ ჯენტლმენს ყოველთვის შეუძლიან თავი დაიფაროს ჭუჭყის, ცუდი მანერებისა და თავაშვებული ცხოვრების ნიღაბ ქვეშ.

ყოველივე ეს ეხება, უმთავრესად, ომის შემდგომ ვითარებას და დედამიწის იმ ნაწილს, სადაც ძლევამოსილი მოკავშირენი უეცრად განიმსჭვალნენ მეტი უნდობლობით ერთმანეთისადმი, ვიდრე თავისი ახლად დამარცხებული მოწინააღმდეგეებისადმი.

ენების ცოდნა, თანდაყოლილი ნიჭი, კარგი მომზადება, პირადი უპირატესობა —ყოველივე ეს ვერ უშველის აგენტს, თუ მან არ აირჩია შესაფერი შენიღბვა და როლი, რომლის შესრულებასაც შეუცდომლად და ბუნებრივად მოახერხებს.

მიულერი და ალტშულერი, ყველაზე მოხერხებულნი ავსტრიელ აგენტთაგან, რომელნიც რუსეთში მუშაობდნენ, კარგ საზოგადოებაში იყვნენ მიღებულნი. ისინი სასარგებლო აგენტები იყვნენ. ხმები დადიოდა, რომ რუსეთის სამხედრო მინისტრის ცოლი აპირებდა სწვეოდა ალტშულერს მის საუცხოო ახალ მამულში. ალტშულერი თავის სამშობლო ვენაში დაბრუნდა არა მარტო სამხედრო ცნობებით, არამედ მოგებითაც, რაც არმიისათვის საქონლის მიწოდებაზე გაწეული სპეკულაციით მიიღო. მაგრამ ომი დაიწყო, და საზღვრები დაიკეტა. მიულერი დაახლოვებით ორ წელიწადს მუშაობდა რუსეთის არმიის ზურგში და იმდენად დაუდევარი იყო, რომ თავი გაამჟღავნა. მაგრამ მიულერი ჩვეულებრივი პიროვნება როდი იყო, მან კარგად იცოდა, თუ ვისთან ჰქონდა საქმე. მან დაიწყო თხრობა, თუ რა განზრახვები ჰქონდა ავსტრია-უნგრეთის საიდუმლო სამსახურს რუსეთის მიმართ. იგი შემაძრწუნებელ ფაქტებს იუწყებოდა და ავსტრიის სამსახურში მყოფი სამი რუსი აგენტიც კი გასცა. ხოლო შემდეგ, როცა უამბო ყველაფერი, რაც საჭიროდ მიაჩნდა, და გასამართლებამდე მცირე დროღა დარჩენილიყო, მიულერი გაიქცა. ფიქრობდნენ, რომ ამაში მას ვიღაც დაეხმარა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

---

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტის" № 138.

„ზარია ვოსტოკას" თხუთმეტი წლისთავი

ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის მებრძოლ „ზარია ვოსტოკას"

გაზეთი „კომუნისტის" რედაქცია და მთელი კოლექტივი მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და თ. კ-ის მებრძოლ ორგანოს „ზარია ვოსტოკას" მის თხუთმეტ წლისთავზე.

პარტიის გენერალური ხაზის ერთგულმა გამტარებელმა „ზარია ვოსტოკამ" უდიდესი როლი შეასრულა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებისა და ამიერკავკასიის ხალხთა ურყევი სტალინური მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

ბოლშევიკური პრესის სახელოვანი ტრადიციების განუხრელად დამცველი „ზარია ვოსტოკა" მუშაობის ბრწყინვალე ნიმუშებს გვიჩვენებს ლენინიზმის პროპაგანდისა და სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გარშემო მასების დარაზმვის საქმეში.

ვულოცავთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციას და მუშაკების მთელ კოლექტივს მისი სახელოვანი თხუთმეტი წლისთავის დღეს და ვუსურვებთ მათ შემდგომს წარმატებებს **ლენინ-სტალინის** დიადი საქმისათვის ბრძოლაში.

„კომუნისტის" რედაქცია.

„ლუმანიტეს" რედაქციისაგან

„ლუმანიტეს" რედაქცია ძმურ სალამს უთვლის „ზარია ვოსტოკას" მის თხუთმეტი წლისთავზე. იდგა რა ბოლშევიკური პრესის იმ სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების სადარაჯოზე, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარა ამხანაგმა **სტალინმა** რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში, „ზარია ვოსტოკა" გადაიქცა მასების დაუღალავ ორგანიზატორად, რომელიც გამუდმებით მოუწოდებს მათ იბრძოლონ მათ მიერ სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში მიღწეულ დიდ წარმატებათა განმტკიცებისა და გაფართოებისათვის.

ეს გამარჯვებანი, რომლებიც ქართველმა ხალხმა მოიპოვა საკ. კ. პ. (ბ) და მისი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით, აღტაცებას იწვევენ საფრანგეთის მშრომელებში, რომელნიც უერთებენ თავის ხმას ჩვენს მოლოცვას.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი კონიო.

„როტე ფანე" — „ზარია ვოსტოკას"

ძვირფასო ამხანაგებო! მხურვალედ მოგილოცავთ თქვენი გაზეთის თხუთმეტი წლისთავს.

„ზარია ვოსტოკას" მიერ განვლილი გზა მჭიდროდ დაკავშირებულია ქართველი ხალხისა და ამიერკავკასიის სხვა ხალხთა უდიდეს აღმავლობასთან, რომლებმაც, განთავისუფლდნენ რა მეფის უღლისაგან, შექმნეს თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება, მაღალი, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური, კულტურა.

თქვენ თხუთმეტი წელიწადი იდექით პოსტზე, იბრძოდით რა კონტრრევოლუციური ხროვის წინააღმდეგ, ტროცკისტი და მემარჯვენე ბანდიტების წინააღმდეგ, მაღლა გეჭირათ ბოლშევიზმის დროშა, **ლენინ - სტალინის დროშა.** თქვენი ფურცლები მეტყველებენ სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზულ გამარჯვებებზე, რომლებმაც მთლიანად შესცვალა თქვენი ქვეყნის, თქვენი ქალაქებისა და სოფლების სახე.

გაუმარჯოს ბედნიერ სოციალისტურ საქართველოს!

გაუმარჯოს დიად საბჭოთა კავშირს — სოციალიზმის ურყევ მძლავრ ციტადელს, რომელიც დღითიდღე მტკიცდება ომის ფაშისტ გამჩაღებელთა შესაზარად!

გიძღვნით ჩვენს ძმურ სალამს.

გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას! გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს!**

გერმანიის კომპარტიის ცენტრალური ორგანოს „როტე ფანეს" რედაქციის დავალებით — გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი დენგელი

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირისაგან

მხურვალე სალამი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მებრძოლ ორგანოს „ზარია ვოსტოკას" სახელოვან თხუთმეტი წლისთავზე.

უდიდესია „ზარია ვოსტოკას" წარმატებანი პარტიის ისტორიის საკითხთა დამუშავების საქმეში. გამოშვებული წიგნი „ძველი მუშების ნაამბობი დიდ ბელადზე" საუცხოოდ მოწმობს „ზარია ვოსტოკას" ბოლშევიკურ ბრძოლას **ლენინ-სტალინის** დროშის ქვეშ. ეს შესანიშნავი წიგნი უძვირფასეს საყრდენს წარმოადგენს მთელი რიგი საკითხების შესწავლისა და დამუშავებისათვის, რომლებსაც ეხება ამხ. ბერიას მოხსენება „ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის საკითხისათვის". „ზარია ვოსტოკამ" გვიჩვენა იმის ნიმუში, თუ როგორ უნდა მუშაობდეს პარტიული გაზეთი.

მაგრად გეჭიროთ ხელში ჩვენი პარტიის იმ ბოლშევიკური ტრადიციების დროშა, რომლებსაც ღრმა იატაკქვეშეთის პირობებში საფუძველი ჩაუყარა დიდმა ბელადმა **სტალინმა** რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე.

სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის სამდივნო: სტავსკი, ლახუტი

„ხარკოვსკი რაბოჩის" რედაქციისაგან

მხურვალედ მივესალმებით რედაქციის კოლექტივს, მუშკორებს და „ზარია ვოსტოკას" მკითხველებს საქართველოს ბოლშევიკთა მებრძოლი ორგანოს თხუთმეტი წლის იუბილეს გამო.

ხარკოვის ჟურნალისტები ყურადღებით კითხულობენ თქვენს გაზეთს, ჰბაძავენ „ზარია ვოსტოკას" მიერ პოლიტიკურ საკითხთა, განსაკუთრებით პარტიული მშენებლობის საკითხთა ღრმა პრინციპულად დაყენების საუკეთესო ნიმუშებს.

გისურვებთ სრულ წარმატებას ბელადის და მასწავლებლის დიდი **სტალინის** მიერ დასმული ისტორიული ამოცანის—მასების ბოლშევიზმით შეიარაღების შესრულებაში.

გაზეთ „ხარკოვსკი რაბოჩის" რედაქცია.
რედაქტორი შუბი

○

გაზ. „ზარია ვოსტოკას" სახელზე მიღებულია მრავალი მისასალმებელი დეპეშა. მათ შორის გაზ. „ბოლშევისტსკაია პუტიოვკის" და „ბაკინსკი რაბოჩის" რედაქციებისაგან, აგრეთვე საბჭოთა კავშირის გმირ **სლეპნიოვისა** და სსრ კავშირის სახალხო არტისტ სტანისლავსკისაგან, ფადეევის, ვასილ კამენსკისა, ნიკოლოზ ტიხონოვისაგან და სხვ.

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ლენინურ-სტალინური ტრადიციების დროშით

თხუთმეტი წლის წინათ, 1922 წლის 20 ივნისს, გამოვიდა ამიერკავკასიის სამხარეო პარტიული გაზეთის „ზარია ვოსტოკას" პირველი ნომერი. ეს იყო ამიერკავკასიის ფედერაციის — **ლენინ-სტალინის** პირმშოს შექმნისა და განმტკიცების პერიოდი.

„ზარია ვოსტოკას" პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში — „მზარდ დევგმირში" შეჯამებულია რესპუბლიკების ძმური თანამშრომლობის პირველი თვეების შედეგები. „ის, რასაც ამჟამად ვამჩნევთ აზერბეიჯანში, საქართველოსა და სომხეთში მათი ავტონომიური ნაწილებით, — სწერდა „ზარია ვოსტოკა", — ბრძოლის წარმატებისა და საბოლოო გამარჯვების სრულ რწმენას გვინერგავს".

„ზარია ვოსტოკას" ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ისტორიულ წლებში მაღლა უჭირავს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა, აწარმოებს რა გადამწყვეტ ბრძოლას დიდმპყრობლური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ; იგი ფართოდ ეწევა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის პროპაგანდას და დიდი როლი შეასრულა მის პირველ გამარჯვებათა მიღწევაში. სამხარეო პარტიული გაზეთი სავსებით უწყობდა ხელს ვ. ი. ლენინის მიერ გამოთქმული იმედის განხორციელებას, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მჭიდრო კავშირი „**შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახულ და ბურჟუაზიული წყობილების დროს შეუძლებელ ნაციონალურ მშვიდობიანობის ნიმუშს**".

ნაციონალ - უკლონიზმთან გაფთრებულ ბრძოლაში დღითიდღე, სულ უფროდაუფრო მტკიცდებოდა ამიერკავკასიის ფედერაციის ძლიერება, წარმატებით ხორციელდებოდა რესპუბლიკების სამეურნეო-პოლიტიკური განმტკიცება, მტკიცდებოდა საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობა.

საქართველოს ბოლშევიკებმა გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღეს ამხანაგ **სტალინის** იმ მითითების შესასრულებლად, რომელიც მან მოგვცა 1921 წელს თბილისის პარტორგანიზაციის კრებაზე იმის შესახებ, რომ „**საქართველოს კომუნისტების მორიგ ამოცანას წარმოადგენს დაუნდობელი ბრძოლა ნაციონალიზმთან, ძველი, ძმური ინტერნაციონალური კავშირის აღდგენა**".

1931 წლის 31 ოქტომბერს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოხსენებათა გამო, რომელშიც ნათქვამი იყო: „აღნიშნავს რა, რომ ამიერკავკასიის პარტორგანიზაციამ უკანასკნელ პერიოდში მიაღწია ერთგვარ წარმატებებს, განსაკუთრებით სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობასა და ამიერკავკასიის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, ცენტრალური კომიტეტი სთვლის, რომ ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მუშაობაში დაშვებულია სერიოზული პოლიტიკური შეცდომები, რომელთაგან ძირითადია შეცდომა გლეხობის საკითხში".

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ისტორიული ნიშანსვეტი გახდა ამიერკავკასიის ფედერაციის სამეურნეო-პოლიტიკურ განვითარებაში. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამიერკავკასიის პარტორგანიზაციებს, ა.-კ. სამხარეო კომიტეტს და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს მოსთხოვა „ყველა აღნიშნული შეცდომის დაუყოვნებლივ გამოსწორება და ამიერკავკასიის ბოლშევიკების მთელი ძალღონისა და ყურადღების მობილიზაცია", რათა გადაეჭრათ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით მათ წინაშე დასახული „უმნიშვნელოვანესი ამოცანები სამეურნეო და კულტურული სოციალისტური მშენებლობისა".

ეს პერიოდი, „ზარია ვოსტოკას" მუშაობაში მოასწავებს სრულიად ახალ ხანას. გადაჭრით ებრძვის რა ოპორტუნიზმს და მემარჯვენე-„მომემარცხენო" დამახინჯებათა რეციდივებს, გაზეთი ხდება პარტიის პოლიტიკის მებრძოლ პროპაგანდისტად ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

1933 წლის ადრე გაზაფხულზე, თესვის დაწყების წინ, „ზარია ვოსტოკას" რედაქციამ მოაწყო გამოცდილების ფართო ურთიერთგაზიარება ამიერკავკასიის მოწინავე კოლმეურნეობებსა და შუა ვოლგის მხარის ბეზენჩუკის მტს-ის **ლენინის** სახ. კოლმეურნეობას შორის. ამიერკავკასიის კოლმეურნეებმა „პრავდაში" წაიკითხეს ბეზენჩუკელ კოლმეურნეთა წერილი ამხანაგ **სტალინისადმი**. ამ წერილმა აამოძრავა კოლმეურნეთა მასა და გაუღვიძა მას ცხოველი ინტერესი ბეზენჩუკელთა საქმისა და გამოცდილებისადმი. გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ" თავიდანვე აიტაცა ამიერკავკასიის მოწინავე კოლმეურნეთა ინიციატივა, მოაწყო და სათავეში ჩაუდგა მათ შეჯიბრებას ბეზენჩუკელებთან.

„**სიმართლე უნდა ითქვას, რომ გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ" შესძლო გაეშალა სოციალისტური შეჯიბრება ბეზენჩუკის მოწინავე რაიონისა და ამიერკავკასიის კოლმეურნეობებს შორის,** — სწერდა „პრავდა" პრესის მიმოხილვა — „მაგალითის ძალაში". **იგი დღითიდღე სისტემატურად და ოპერატიულად აშუქებს შეჯიბრების მსვლელობას. გაზეთმა თავის ფურცლებზე აღძრა საკოლმეურნეო წარმოების უმნიშვნელოვანესი საკითხები და შეამოწმა ისინი ბეზენჩუკელთა გამოცდილებაზე. „ზარია ვოსტოკას" მიერ ბეზენჩუკელთა გამოცდილების გაშუქება გაზეთის ოპერატიულობის კარგი მაგალითია. სწორედ ასე უნდა ეხმაურებოდეს გაზეთი უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ დოკუმენტებს, როგორიცაა, უეჭველად, ბეზენჩუკელ კოლმეურნეთა წერილები ამხანაგ სტალინისადმი**".

„პრავდა" ყურადღებით ადევნებდა თვალს ამ შეჯიბრებას, მოათავსა სტატია „ვინ გაიმარჯვებს?", შეაჯამა შეჯიბრების შედეგები.

ამიერკავკასიის კოლმეურნეთა შეჯიბრება ბეზენჩუკელებთან არ ყოფილა ეპიზოდური მოვლენა „ზარია ვოსტოკას" მუშაობაში და არ ატარებდა ხანმოკლე კამპანიის ხასიათს. ამ შეჯიბრების ჩატარებაში, უეჭველად, გამომჟღავნდა რედაქციის მუშაობის სტილი და მიმართულება, მისი მჭიდრო კავშირი მასებთან.

შემდგომ, 1934 წელს, „ზარია ვოსტოკა" აწყობს ბრიგადირთა შეჯიბრებას ამიერკავკასიის ფედერაციის კოლმეურნეობებში და აგვარებს მათს მუდმივ კავშირს მილოსტკურაკინის მტს-ის (აზოვ-შავი ზღვის მხარე) ბრიგადირებთან — სრულიად - საკავშირო შეჯიბრების ინიციატორებთან.

ორი თვის შემდეგ, 6 მაისს, „ზარია ვოსტოკა" აღნიშნავს შეჯიბრების პირველ შედეგებს, ხოლო 1934 წლის ნოემბერში იწყებს შედეგების შეჯამებას. გაზეთმა ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ დახმარებოდა კოლმეურნეობებს „გაეფართოვებინათ სოფლების საზღვრები", შეუმჩნეველი გაეხადა ათასკილომეტრიანი სივრცეები, შეეკავშირებინა სხვადასხვა მხარისა და რესპუბლიკების კოლმეურნეები ინტერნაციონალური შემჭიდროების დროშით.

1935 წლის ოქტომბრის დამდეგს გაზეთმა მოაწყო ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობათა პარტორგების ჩამოსვლა თბილისში ორგანიზაციულ - პარტიული, მასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობის გამოცდილების გასაცნობად ქალაქის საწარმოებში.

კოლმეურნეობათა პარტორგებთან გამოცდილების ურთიერთგაზიარებამ მნიშვნელოვანი გაცხოველება შეიტანა საფაბრიკო-საქარხნო პარტიული კომიტეტების ყოველდღიურ მუშაობაშიც, ხელი შეუწყო მათი მუშაობის თვითშემოწმებას, სიფხიზლის გაძლიერებას, პარტიული მეურნეობის გაუმჯობესებას.

ქალაქისა და სოფლის პარტორგების გამოცდილების ურთიერთ-გაზიარებას მთელი რიგი ეტაპები ჰქონდა და მას შესანიშნავი შედეგები მოჰყვა. ლაგოდეხში დაბრუნების შემდეგ, კოლმეურნეობათა პარტორგებმა ჩაატარეს კრებები, რომლებზედაც ილაპარაკეს თავის შთაბეჭდილებათა შესახებ. იმ ახალი რამის შესახებ, რაც მათ გადაიღეს საფაბრიკო-საქარხნო საწარმოთა მუშაობის გამოცდილებიდან.

ამ მუშაობამ, რომელიც აღნიშნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ჟურნალმა სტატიით „გამოცდილება, რომლისგანაც ბევრმა უნდა ისწავლოს", უეჭველად აამოძრავა ბევრი პარტიული მუშაკი, გაუღვიძა მათ ინიციატივა, აიძულა გარდაექმნათ პარტიული მუშაობის მეთოდები.

1935 წლის 5 მაისს მოსკოვის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა კრებაზე ამხანაგი **ა. ი. სტეცკი**, ლაპარაკობდა რა თავის მოხსენებაში იმ გაზეთების შესახებ, რომლებიც „დგანან პოლიტიკურ სიმაღლეზე", აღნიშნავდა: „სამხარეო გაზეთებიდან ამ მხრივ მაგალითია „ზარია ვოსტოკა".

თბილისის პარტიული აქტივის კრებაზე ამხ. **ლ. ბერიამ** მოხსენებაში — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" გაზეთების წინაშე დასვა მთელი რიგი სერიოზული ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი პარტიის ისტორიის ბოლშევიკურ შესწავლასთან.

გაზეთი, 1935 წლის სექტემბრიდან დაწყებული, თავის ფურცლებზე თანმიმდევრულად ათავსებს რედაქციის მიერ შეგროვილსა და ცალკე წიგნად გამოცემულს ძველი მუშების მოგონებებს ამხანაგ **სტალინის** რევოლუციური მუშაობის ცალკეული ეპიზოდების შესახებ საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ახალი კონსტიტუციის შემოღების, ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციის და სსრ კავშირში საბჭოთა საქართველოს უშუალოდ შესვლის შემდეგ — „ზარია ვოსტოკა" გახდა რესპუბლიკური პარტიული გაზეთი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის და საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო.

გაზეთის წინაშე დაისახა ახალი ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს ამხანაგი **სტალინის** მოხსენებიდან და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მე-10 ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, მშრომელების, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების ფართო ფენებში მუშაობის თავისი დიდი გამოცდილების გამოყენებით, გაზეთი კიდევ უფრო გააღრმავებს და გააფართოვებს თავის კავშირს მასებთან გაშლილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე, გაამახვილებს შეტევით ბოლშევიკურ სიფხიზლეს, აღზრდის მასებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და **ლენინ-სტალინის** პარტიის საქმისადმი თავდადებული ერთგულების სულისკვეთებით.

„ზარია ვოსტოკას" პარტიის მიერ დასმული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში შემდეგაც მაღლა ეჭირება „პრავდის" სახელოვანი ბოლშევიკური ტრადიციების დროშა: მთელი მისი მუშაობა გამსჭვალული იქნება ბოლშევიკური პარტიულობით, ლენინურ - სტალინური შეურიგებლობით, პარტიის მტრებისადმი, იგი მჭიდროდ იქნება დაკავშირებული მასებთან. არავითარი ეჭვი არ არის, რომ „ზარია ვოსტოკა" მომავალშიაც მთელი თავისი ბოლშევიკური აღგზნებით გამოამჟღავნებს ხალხის მტრებს, კაპიტალიზმის ტროცკისტ და მემარჯვენე რესტავრატორებს, იაპონია - გერმანიის ფაშისტური ოხრანკების საზიზღარ აგენტურას და მათ დაქირავებულ ჯაშუშებსა და დივერსანტებს. ბოლშევიკური პარტიულობა, გამახვილებული სიფხიზლე — ეს პირველი მოთხოვნაა ბეჭდვითი სიტყვის თვითეული მუშაკისადმი, თვითეული ბოლშევიკური გაზეთისადმი (საქძეს).

ЗАРЯ ВОСТОКА

გაზ. „ზარია ვოსტოკას" კომბინატის საერთო ხედი რუსთაველის პროსპექტზე

ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

გ. მუსაბეკოვი

სსრ კავშირის ცაკის თავმჯდომარე

ხალხთა სტალინური მეგობრობის ერთგული მედროშე

დღეს ჩვენ აღვნიშნავთ „ზარია ვოსტოკას", ჩვენი მშვენიერი სოციალისტური სამშობლოს ერთერთი მოწინავე გაზეთის თხუთმეტ წლისთავს.

ბოლშევიკურმა გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ", რომელიც შეიქმნა 15 წლის წინათ, როგორც ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციებისა და ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო, ღრმად აითვისა ბოლშევიკური არალეგალობის პროლეტარული გაზეთების სახელოვანი ტრადიციები, გახდა მებრძოლი გაზეთი ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისა. რომელთა მთელი ისტორია მათი ჩასახვის მომენტიდან მჭიდროდ არის დაკავშირებული მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხანაგი **სტალინის** მუშაობასთან და სახელთან.

ამიერკავკასიის ბოლშევიკთა ხელში მებრძოლი იარაღი — „ზარია ვოსტოკა" თავისი წარმოშობის დღიდან შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა პარტიის გენერალური ხაზის სიწმინდისათვის, დაუნდობლად ამჟღავნებდა ხალხის მტრებს, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე ამობილიზებდა სამი მოძმე რესპუბლიკის უფართოეს მასებს კაპიტალიზმის ფესვების აღმოსაფხვრელად, ეწეოდა შეუპოვარ ბრძოლას სოციალიზმის გამარჯვებისთვის ამიერკავკასიაში.

გაზეთის მიერ განვლილი გზის ისტორია გვაძლევს იმის მრავალ მაგალითს, რომ „ზარია ვოსტოკა", რომელსაც მაღლა ეჭირა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დროშა, განუხრელად ამჭიდროვებდა ამ დროშის ქვეშ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მშრომელთა ფართო მასებს. ლენინ-სტალინის მიერ შექმნილი ამიერკავკასიის ფედერაციის განმტკიცებისა და ზრდისათვის ბრძოლაში, ფედერაციისა, რომელმაც გააერთიანა ამიერკავკასიის სამი მოძმე რესპუბლიკის ძალღონე სამეურნეო ნგრევისა და მენშევიკების, მუსავატელებისა, დაშნაკების მიერ მოწყობილ სისხლიან შეტაკებათა შედეგების ლიკვიდაციის საქმეში, — „ზარია ვოსტოკა" თავისი პირველი ნომრიდანვე აქტიურ დახმარებას უწევდა ამ კონტრრევოლუციური ბურჟუაზიულ - ნაციონალისტური პარტიების საბოლოო განადგურებას.

გასული 15 წლის მანძილზე ამიერკავკასიის ფედერაციამ ბრწყინვალედ გაამართლა თავისი დანიშნულება, სავსებით შეასრულა რა თავისი ისტორიული როლი — ნაციონალური მშვიდობიანობისა და სოციალიზმის მშენებლობის იარაღისა. საბჭოთა რესპუბლიკები — აზერბეიჯანი, სომხეთი და საქართველო — სოციალიზმის მძლავრ ციხე-სიმაგრედ გახდნენ აღმოსავლეთის საზღვარზე. მეფის რუსეთის ეს ყოფილი „განაპირა კუთხეები" პარტიის ნებისყოფის, სსრ კავშირის ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** ნებისყოფით გადაიქცნენ მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკებად. საბოლოოდ და სამუდამოდ გამარჯვებულმა საკოლმეურნეო წყობილებამ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში შექმნა უფართოესი შესაძლებლობანი, — რაზედაც წინათ ოცნებაც კი შეუძლებელი იყო, — ძვირფასი ტექნიკური კულტურების, მათ შორის ბამბის, ციტრუსთა ნარგავების, თამბაქოს, ჩაის, ტუნგოს ფართობთა გადიდებისა და მათი მოსავლიანობის ზრდისათვის, მებაღეობისა და მევენახეობის განმტკიცებისათვის, სოციალისტური მეცხოველეობის ამაღლებისათვის და სხვ.

საბჭოთა რესპუბლიკების, საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის ხალხთა ფორმით ნაციონალურმა და შინაარსით სოციალისტურმა კულტურამ უმაგალითო აყვავებას მიაღწია.

„ზარია ვოსტოკამ" უდიდესი როლი ითამაშა თანმიმდევრული პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მრავალეროვანი ამიერკავკასიის მშრომელთა აღზრდის საქმეში, სომხეთის, აზერბეიჯანისა და საქართველოს ხალხთა შორის ურღვევი სტალინური მეგობრობის დამყარების საქმეში. ეს ამოცანა ბრწყინვალედ არის შესრულებული. ძლიერი საბჭოთა სახელმწიფოს უძლეველობის საწინდარი მისი დიადი სტალინური მეგობრობა მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის — ისევე მტკიცე და ურყევია ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, როგორც საბჭოთა მიწა-წყლის მთელ თვალუწვდენელ სივრცეზე.

დიადი სტალინური კონსტიტუციის შესაბამისად, საბჭოთა რესპუბლიკები საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი, რომლებსაც ამჟამად აქვთ ფრიად ფართო სამეურნეო და კულტურული კავშირი არა მარტო ერთმანეთს შორის, არამედ უშუალოდ სსრ კავშირის სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთანაც, ავიდნენ თავისი განვითარების ახალ მაღალ საფეხურზე, შევიდნენ რა უშუალოდ სსრ კავშირში. ამიერკავკასიის ფედერაცია, რომელმაც სავსებით გადასწყვიტა თავის წინაშე მდგარი ამოცანები, ლიკვიდირებულია.

ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციის შემდეგ „ზარია ვოსტოკა" რეორგანიზებულია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოდ.

თავისი სახელოვანი გზის 15 წლის მანძილზე, განსაკუთრებით უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, როდესაც ამიერკავკასიის რესპუბლიკები მტკიცედ ჩადგნენ საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკათა რიგებში, „ზარია ვოსტოკამ" მოიხვეჭა მრავალეროვანი ამიერკავკასიის მშრომელთა მხურვალე სიყვარული, მოიპოვა უდიდესი ავტორიტეტი, როგორც ბოლშევიკური პრესის მებრძოლმა ორგანომ, როგორც ცოცხალმა, პარტიულად — ბასრმა გაზეთმა. ცენტრალურ პრესას არაერთხელ აღუნიშნავს „ზარია ვოსტოკას" მუშაობის დადებითი გამოცდილება კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის ბრძოლაში, გაზეთის ინიციატივა პარტიულ - მასობრივი მუშაობის საკითხების ცოცხლად დაყენებაში.

ყველას ახსოვს „ზარია ვოსტოკას" მიერ შეგროვილი და გამოქვეყნებული შინაარსიანი მოგონებანი ძველი მუშებისა საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის შესახებ, მათი დაუვიწყარი ნაამბობი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინის** შესახებ.

დღეს, კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში, ისეთ ვითარებაში, როდესაც ხალხის მტრები მავნებლობის, შპიონაჟისა და დივერსიის ფრიად გამახვილებული, შენიღბული მეთოდებით ეწევიან თავის დანაშაულებრივ მუშაობას, ცდილობენ რა ძირი გამოუთხარონ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას, — „ზარია ვოსტოკამ" უნდა გააათკეცოს რევოლუციური სიფხიზლე, უფრო დაუნდობლად აღმოფხვრას, ხალხის მტრები, ჩამოჰგლიჯოს მათ ნიღაბი, ნიღბში მარჯვედ, მახვილად დაარტყას იმ ადამიანებს, რომლებიც დაავადებული არიან იდიოტური ავადმყოფობით — პოლიტიკური უდარდელობითა და სიბრმავით.

პარტიის საბრძოლო ლოზუნგი ბოლშევიზმის დაუფლების შესახებ, კადრების პოლიტიკური აღზრდის შესახებ — „ზარია ვოსტოკას" წინაშე აყენებს კიდევ უფრო გაძლიერებულ მოთხოვნებს.

შეიძლება მტკიცედ დარწმუნებული ვიყოთ, რომ „ზარია ვოსტოკა" საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და ამხანაგ **სტალინის** მოხსენების საფუძველზე, მოახდენს საქართველოს მშრომელი მასების ყურადღების მობილიზაციას პარტიის ამ საბრძოლო ლოზუნგის განსახორციელებლად.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, მის წინაშე ისახება ახალი ამოცანები. შეიძლება მტკიცედ დარწმუნებული ვიყოთ, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით „ზარია ვოსტოკა" ამ ამოცანებს ღირსეულად შეასრულებს.

გაზეთის ამ უაღრესად აქტუალური ამოცანების რიცხვში მუდამ უნდა დარჩეს, როგორც ძირითადი ამოცანა — მუდამ ყოფნა ამიერკავკასიის ხალხთა უძვირფასესი მონაპოვარის — საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთისა და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობის სადარაჯოზე.

◆

თბილისის ბოტანიკურ ბაღში. სურათზე: ბოტანიკური ბაღის მდინარეში ბანაობა
ფოტო კ. დეტოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

მშრომელთა წერილები

გადაკარგული მამა

1932 წელს დ. ვანიდან სხვა რაიონში წავიდა ვლადიმერ (ვალოდია) გრიგოლის-ძე შენგელია. ოჯახში დასტოვა ცოლი, 3 წლის გივი და 4 თვის ნუნუ. ცოლი მას ამაოდ ელოდებოდა. შენგელიამ 1934 წელს სხვა ცოლი შეირთო წითელწყაროში. ძველ ოჯახზე მთლად აიცრუა გული. ცოლშვილს არავითარ დახმარებას არ უწევდა.

შენგელიას ცოლმა ანიჩკამ ვანის რაისასამართლოში აღძრა საქმე. სასამართლომ 1935 წელს ორივე ბავშვს 100 მანეთი ალიმენტი მიუსაჯა. უზენაესმა სასამართლომ რატომღაც ეს თანხა 50 მანეთამდე შეამცირა. შენგელია ამის გადახდასაც შეგნებულად თავს არიდებდა.

ამბობენ, ვლადიმერ შენგელია ქ. თბილისში, 26 კომუნარის სახ. რაიონში, სცხოვრობსო. ვანის რაიპროკურორმა 1936 წლის 11 აპრილს მიმართვა (№410) გაუგზავნა 26 კომუნარის სახ. რაიპროკურორს. პასუხი არ სჩანდა. განმეორებით გაეგზავნა მიმართვა მასვე 1937 წლის 27 თებერვალს, პასუხის გამოგზავნა მაინც არ ინებეს. მესამედაც მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ.

ვანის რაიპროკურორმა ამხ. გ. კიკნაძემ ამის თაობაზე რესპუბლიკის პროკურორს მიმართა (ა-წ 15 მარტს, №265), მაგრამ შენგელიას მოძებნა დღემდე ვერ მოხერხდა.

რატომ არ ღებულობენ ზომებს მის აღმოსაჩენად? როდემდის უნდა იარონ ქუჩა-ქუჩა უპატრონოდ მიტოვებულმა ქალმა და ბავშვებმა?

ნ. თვალაბეიშვილი.

აბუჩად აიგდებენ

სამი წლის წინათ მიმატოვა ქმარმა, სარდიონ ზოსიმეს-ძე ინჯგიამ. ორი ბავშვი დამრჩა სარჩენი. ცხაკაიას რაიონის სახ. სასამართლომ მათ სასარგებლოდ ჩემს ყოფ. ქმარს თვიურად 50 მან. ალიმენტის გადახდა მიუსაჯა, მაგრამ ის არაფერს იხდიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ერთი ბავშვი გარდამეცვალა, ალიმენტიც შეამცირეს. მოქ. სარდიონ ინჯგია არც ამ, შემცირებულ ალიმენტს იძლევა. დავალიანება მიმდინარე პირველი იანვრისათვის 2.200 მანეთს უდრიდა.

სასამართლოს განაჩენის სისრულეში მოყვანა ოჩემჩირის რაიონის იძულებითი სამუშაოების ბიუროსა და რაიპროკურორს დაევალა, რადგან ჩემი ყოფილი ქმარი ამჟამად იმ რაიონის სოფ. ბესლახობაში სცხოვრობს, მეორე ცოლთან. არც იძულებითი სამუშაოების ბიურო, არც რაიპროკურორი არ ზრუნავენ სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებისათვის. რაიპროკურატურაში აბუჩადაც აიგდეს, სასამართლოს დადგენილება შუბლზე მიიკარიო, მითხრეს.

ნუთუ სტალინური კონსტიტუციის ეპოქაში დასაშვებია პიროვნების უფლების ასე ფეხქვეშ გათელვა?

დესი ინჯგია.

წყალს მიაქვს ყანები

აბაშის რაიონის წყალდიდობასთან მებრძოლი კომისია წელს უმოქმედობას იჩენს. მდინარე ცხენისწყლის ირგვლივ მდებარე კოლმეურნეობათა ნათესები წყალს მიაქვს. უკვე ჩამონგრეულია ერთ ჰექტარამდე ყანები. მდინარის პირად ჯებირები შეუკეთებელია. მოსალოდნელია უფრო დიდი ზარალიც, თუ ახლავე არ იქნა მიღებული საჭირო ზომები.

შ. ჯიბლაძე.

ტირაჟისათვის მზადება რაიონებში

საქ. ცაკთან არსებულმა სახკრედიტისა და საშემნახველო საქმის დამხმარე ცენტრალურმა კომისიამ რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში მოაწყო თავისი გამსვლელი სესიები. ასეთი სესიები უკვე ჩატარდა ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და ახალციხეში. 20 ივნისს დამხმარე კომისიის სესია დანიშნულია გურჯაანში.

ქუთაისში შემდგარ სესიას 10 ივნისს დაესწრნენ ტყიბულის, ამბროლაურის, წულუკიძის, ვანის, სამტრედიის, ბაღდათის, ჩხარისა და ჯუღელის რაიონების წარმომადგენლები. ბათუმში 12 ივნისს შემდგარ სესიას დაესწრნენ მახარაძის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ქობულეთის, ხულოს და ქედის რაიონების წარმომადგენლები. სოხუმში სესია გაიმართა 14 ივნისს. დაესწრნენ ზუგდიდის, ოჩემჩირის, გალის, გაგრისა და გუდაუთის რაიონების წარმომადგენლები. 17 ივნისს ახალციხეში თავი მოიყარეს ახალქალაქის, ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, გორისა და ხაშურის რაიონის წარმომადგენლებმა.

ამ სესიათა სხდომებზე განხილული იყო მეორე ტირაჟისათვის მზადებისა და მეორე კვარტალის საკასო გეგმების შესრულების საკითხები. გამოირკვა, რომ აფხაზეთს გარდა მეორე ტირაჟისათვის მზადება თითქმის ყველგან სუსტია. ამბროლაურის რაიონში, მაგალითად, 10 ივნისსაც არ ჰქონდათ დაწყებული პირველი ტირაჟის მოგებათა გაცემა, თუმცა მოგებათა ცხრილები მიღებული იყო 2 ივნისს.

ქუთაისში 10 ივნისს არ იცოდნენ, რომ მეორე ხუთწლედის (მეოთხე წლის გამოშვების) სესხის მეორე ტირაჟი თბილისშია დანიშნული. გასაგებია, რომ როცა ქუთაისის შემნახველი სალაროების ხელმძღვანელები ასე კარგად იყვნენ „ინფორმირებულნი" მეორე ტირაჟის შესახებ, სათანადო მზადებას ვერ გაშლიდნენ.

გამოირკვა აგრეთვე, რომ მთელ რიგ ადგილებში, უმთავრესად სოფლებში ადგილი ჰქონდა ბოროტმოქმედებას. სოფ. ფერსათის (ბაღდათის რაიონი) კოლმეურნეობის თავმჯდომარეს წეროძეს მიუღია კოლმეურნეებს შორის დასარიგებლად 2.400 მანეთის ობლიგაციები. მაგრამ ეს ობლიგაციები მას დაუგირავებია და გირაოში მიღებული თანხა მიუთვისებია.

ყველაზე კარგად ემზადებიან მეორე ტირაჟისათვის აფხაზეთში. აქ წინასწარი ახსნა-განმარტებითი მუშაობაც კარგად არის გაშლილი, ობლიგაციების დარიგებაც დაამთავრეს, მოგებათა გაცემაც დროულად დაიწყეს და მეორე კვარტალის საკასო გეგმების ვადაზე ადრე შესრულებაც უზრუნველჰყვეს.

ამჟამად ყველა რაიონი ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ტირაჟისათვის უკეთ მოსამზადებლად და მიმდინარე კვარტალის საკასო გეგმების ვადაზე ადრე შესასრულებლად. ის რაიონები, რომლებიც შეჯიბრებაში გაიმარჯვებენ, გამოწვეული იქნებიან ტირაჟზე დასასწრებად. მეორე კვარტალის საკასო გეგმების ვადაზე ადრე და უკეთესი მაჩვენებლებით შესრულებაში გამარჯვებულ რაიონს გადაეცემა ცენტრალური ხელშემწყობი კომისიის გარდამავალი დროშა და 1000 მანეთი ჯილდო.

სააგიტაციო ავტოგადარბენა

მეორე ხუთწლედის მეოთხე წლის გამოშვების სესხის მეორე ტირაჟის მოწყობასთან დაკავშირებით, 18 ივნისს თბილისში მოეწყო სააგიტაციო ავტოგადარბენა, რომელშიაც 40 ავტომობილი ღებულობდა მონაწილეობას. ავტომობილებზე ისხდნენ სტახანოველები, ფინაქტივისტები, პიონერები, საწარმოთა მუშები.

დილით გადარბენაში მონაწილე ავტომობილები შეგროვდნენ ფედერაციის მოედანზე. სტარტის წინ მოედანზე შესდგა სახელდახელო მიტინგი, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. მეორე ტირაჟისათვის მზადებისა და ამ ტირაჟის თბილისში გათამაშების მნიშვნელობის შესახებ მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა საქ. შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის ცენტრალური სამმართველოს უფროსმა ამხ. არ. რუხაძემ.

მოედნიდან წითლად მორთულ ავტომობილთა გრძელი კოლონა გაემართა რუსთაველის პროსპექტით დიდუბისაკენ. დიდუბიდან კოლონამ გაიარა ღრმაღელე, მობრუნდა ლენრაიონისაკენ, შემდეგ გაიარა სტალინის, 26 კომისრის, კიროვის, ორჯონიკიძის რაიონები და სტუდენტთა ქალაქიდან დაბრუნდა კვლავ ფედერაციის მოედანზე.

რუსთაველის იუბილეს მზადება საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 18 ივნისი (საქ. კორ). 17 ივნისს მწერალთა კავშირში ამხ. ლახუტის თავმჯდომარეობით შესდგა რუსთაველის საიუბილეო კომისიის გაფართოვებული სხდომა, უკრაინისა და ლენინგრადის საიუბილეო კომისიების წარმომადგენელთა მონაწილეობით. სხდომას დაესწრნენ მწერლები: სტავსკი, ფედინი, ტიხონოვი, ლუპპოლი, ბაჟანი, ანტოკოლსკი და სხვ.

სხდომამ მიიღო გეგმა იმ მუშაობისა, რომელიც წინ უნდა უძღოდეს რუსთაველის იუბილეს. გადაწყვეტილია გაუწიონ დახმარება პირველ რიგში რუსთაველის სხვა ენებზე თარგმნას პოემის პწკარობრივი თარგმანისა და მეცნიერული კომენტარების ადგილებზე დაგზავნით, ხელი შეუწყონ რუსულ ენაზე ახალი თარგმანების გამოსვლას. სხდომაზე პოეტმა ანტოკოლსკიმ განაცხადა, რომ იგი შეუდგა „ვეფხვის ტყაოსნის" პირველი თავის თარგმნას, რაც განზრახული აქვს დაამთავროს ხუთი წლის განმავლობაში. გადაწყვეტილია აგრეთვე გაეწიოს დახმარება საბჭოთა კავშირის დიდ ცენტრებში რუსთაველის შემოქმედების შესახებ ლექციათა ციკლის ჩატარებას. ლექციების წასაკითხად იწვევენ პროფ. შ. ნუცუბიძეს და პ. ინგოროყვას.

რუსთაველის საიუბილეო დღეებში თბილისში განზრახულია მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმის მოწვევა, რუსთაველის ძეგლის გახსნის ზეიმში მონაწილეობის მიღება.

უკრაინელმა მწერალმა — რუსთაველის მთარგმნელმა ბაჟანმა აუწყა სხდომას, რომ უკრაინაში ენერგიულად გაიშალა მზადება რუსთაველის იუბილესათვის. კიევისა და რაიონული გაზეთები რუსთაველის შემოქმედებას უთმობენ მთელ გვერდებს, ჩატარებულია რუსთაველის საღამოები მეცნიერთა და კულტურის სახლებში. საიუბილეო დღეებში კიევში გაიმართება საზეიმო საღამო. ასეთივე ღონისძიებებია დასახული, როგორც ტიხონოვმა განაცხადა, ლენინგრადშიაც.

სხდომის დახურვისას ამხ. ლახუტიმ აღნიშნა რუსთაველისადმი მიძღვნილი ზეიმის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, რაც წარმოადგენს წარსული კულტურული მემკვიდრეობისადმი ბოლშევიკების და მოკიდებულების დემონსტრაციას.

◇

ფეხბურთი

თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდის გამარჯვება

19 ივნისს მოსკოვში გაიმართა „სსრ კავშირის თასის" გათამაშების მორიგი შეხვედრა სპორტული საზოგადოება „დინამოს" ოსტატთა თბილისის და კიევის გუნდებს შორის.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტში მიღებული ცნობების თანახმად, შეხვედრა დამთავრდა თბილისის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

გათამაშების დამთავრებამდე დარჩა ორი წრე — ნახევარფინალი და ფინალი.

◇

ქრონიკა

საქართველოს სსრ რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სსრ რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ი. ბ. ბოლქვაძე მოხსნილია სამუშაოდან.

საქართველოს ცაკში

ახალი სასოფლო საბჭოები

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, გორისა და ხაშურის რაიონებში დაარსებულია ახალი სასოფლო საბჭოები.

გორის რაიონის ახალი სასოფლო საბჭოებია ბერბუკისა და ზერტისა. პირველში შედიან სოფლები ბერბუკი, სვენეთი, ზემო და ქვემო რეხა; მეორეში — სოფლები ზერტი, კვარხითი და კირბალი.

ხაშურის რაიონის ახალი სასოფლო საბჭოა ტახტისძირისა, რომელშიაც შედიან სოფ. ტახტისძირი და დვანი.

წითელარმიაში გაწვევის ხელშემწყობი კომისია

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ცაკთან არსებული წითელარმიაში მორიგი გაწვევის ხელშემწყობი კომისია შემდეგი შემადგენლობით: გ. გოჩაშვილი (თავმჯდომარე), ბერიძე (საქ. სამობილიზაციო ოლქი), საყვარელიძე (სახკომსაბჭო), ბოკუჩავა (ცაკი), პოლიაკოვი (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი), მგელაძე (საქ. ალკკ ც. კ-ი), ჭკუასელი (განსახკომი), გელაშვილი (ჯანსახკომი).

საბჭოთა აღმშენებლობის სახლის დირექტორი

საქართველოს ცაკთან არსებული საბჭოთა აღმშენებლობის სახლის (საბჭოთა ძირეული ორგანოების მუშაკთა მოსამზადებელი კურსები) დირექტორად ცაკის პრეზიდიუმმა დანიშნა ამხ. გ. ტ. გოჩაშვილი.

ჭადრაკი

საკონკურსო სეანსები ჰოლანდიაში.

ჰოლანდიაში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონის მაქს ეივეს ლექციები რადიოთი. ლექციების შემდეგ ჰოლანდიაში მოეწყო მასობრივი საჭადრაკო სეანსები. სეანსიორებად მოწვეულნი იყვნენ: მსოფლიო ჩემპიონი ეივე, ყოფილი მსოფლიო ჩემპიონები ალიოხინი და ლასკერი, გროსმეისტრები: ფლორი, ფაინი, ბოგოლუბოვი, და ტარტაკოვერი.

საუკეთესო შედეგი და მსოფლიოს უკეთესი სეანსიორის რეპუტაცია დაადასტურა გროსმეისტერმა ფლორმა, რომელმაც 265 გათამაშებული პარტიიდან მოიგო 256 პარტია, წააგო 1 და ყაიმით დაამთავრა 8 პარტია, სეანსების ჩატარებას მან 14 საათი და 17 წუთი მოანდომა.

ფაინმა 265 პარტიიდან მოიგო 257, წააგო 3 და ყაიმით დაამთავრა 5, მოფიქრების დრო — 16 საათი.

ალიოხინმა 180 პარტიიდან მოიგო 168, წააგო 1 და ყაიმით დაამთავრა 11. დრო — 10 საათი და 03 წ.

ეივემ 210 პარტიიდან მოიგო 200, წააგო 1, ყაიმით დაამთავრა 9. მოფიქრების დრო — 20 საათი და 30 წუთი.

ტარტაკოვერმა 245 პარტიიდან მოიგო 214, წააგო 9, ყაიმით დაამთავრა 22, მოფიქრების დრო — 21 საათი და 05 წუთი.

ბოგოლუბოვმა 260 პარტიიდან მოიგო 231, წააგო 2, ყაიმით დაამთავრა 27. დრო — 17 საათი და 55 წ.

ლასკერის შედეგი აღსანიშნავია იმით, რომ მხოლოდ მან ჩაატარა სეანსები წაუგებლად. 195 პარტიიდან მოიგო 181 და ყაიმით დაამთავრა 14, მოფიქრებისათვის დასჭირდა 22 საათი და 26 წუთი.

ქალიშვილთა ტურნირი.

ლონდონში მოეწყო ორი ტურნირი ქალიშვილთათვის. პირველ ტურნირში მონაწილეობას იღებდნენ მოჭადრაკე ქალიშვილები არა უმეტეს 21 წლისა, ხოლო მეორეში — არა უმეტეს 18 წლისა.

ორივე ტურნირში გაიმარჯვა და პირველი ადგილი დაიკავა თერთმეტი წლის ელენე სანდერსმა.

◇

კრიტიკოსთა კრება

20 ივნისს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში შესდგება კრიტიკოსთა საერთო კრება. დღის წესრიგში სდგას ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავისათვის კრიტიკული წერილების კრებულის გამოცემას საკითხი.

◇

მუსიკალური საკრავები კოლმეურნეებს

ცეკავშირის თბილისის კულტბაზამ მაისის განმავლობაში საქართველოს კოლმეურნეობებში გაგზავნა 336 ათასი მანეთის მუსიკალური საკრავები. მაისში განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა იყო პატეფონზე. ერთი თვის განმავლობაში გაიყიდა დაახლოებით ათასი პატეფონი.

იმავე თვის განმავლობაში რაიონულმა კულტმაღაზიებმა გაჰყიდეს თბილისის მუსიკალური ფაბრიკის მიერ გამოშვებული 16 პიანინო. თბილისის ბაზამ შეასრულა მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნის სტახანოველი ამხ. გორგელაძის შეკვეთა—პიანინოზე. პიანინო მას შინ მიუტანეს.

ნეკროლოგი

ამხ. ი. რ. კაპანაძე

16 ივნისს მოულოდნელად გარდაიცვალა ჭიათურის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე, ამხ. ილიკო როსაფის-ძე კაპანაძე.

ამხ. კაპანაძის სიკვდილი დიდი დანაკლისია საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის ორგანიზაციისათვის. ამხ. ილიკოს სახით ჭიათურის ორგანიზაციამ დაჰკარგა მტკიცე ბოლშევიკი ლენინ-სტალინის პარტიის საქმის ერთგული ადამიანი.

საქ. კ. პ. (ბ) რიგებში ამხ. ილიკო შევიდა 1919 წელს, როცა ჟუტანელ შრომას ეწეოდა კერძო მწარმოებლების საწარმოებში. ორი წლის განმავლობაში ილიკო გმირულად ებრძოდა მენშევიკების ბატონობას. საქართველოს გასაბჭოების დღიდანვე პარტია მას გზავნის მუშურ-გლეხურ მილიციაში სამუშაოდ. 1925 წლიდან იგი ინიშნება ჭიათურის სამრეწველო მილიციის უფროსად.

1927 წელს ამხ. ილიკო იგზავნება პროფკავშირებში სამუშაოდ.

1930 წელს ამხ. კაპანაძე ხელმძღვანელობს საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიონის საკონტროლო კომისიას — მუშგლეხინს. ერთი წლის შემდეგ მას ირჩევენ ჭიათურის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ.

1934 წლიდან ამხ. ილიკო მუშაობდა ჭიათურის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ.

ამხ. კაპანაძე იყო უნარიანი და საუკეთესო ხელმძღვანელი ლენინ-სტალინის პარტიის საქმის ერთგული და თავდადებული მუშაკი. იგი დაჯილდოვებული იყო ყველა იმ თვისებით, რაც ახასიათებს მტკიცე ბოლშევიკს.

მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო ილიკო.

გ. კალმახელიძე, ვ. ჩხეიძე, ა. მატარაია, დ. არჩუაძე, სერგო დავლიანიძე, ალ. ჩაჩანიძე, ს. ჩაკვეტაძე, რ. ქურციკიძე, ვ. ბრეგვაძე, კ. მუმლაძე, ა. გურული, ვალ. კეჟერაძე, კ. გოგოლაშვილი, დვალი, გრ. შატბერაშვილი, ს. დოლიძე, ე. ფალავანდიშვილი, შ. გაბრიაძე, გრ. ჭელიძე, შ. ჩახუნაშვილი, ან. წერეთელი და ი. ახათიანი.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

20 ივნისს:

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი—კონსულტაცია თემაზე: ბოლშევიკების პარტია სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის მშვიდობიან მუშაობაზე გადასვლის პერიოდში (1921—1925 წლები), რუსულ და ქართულ ენებზე. დასაწყ. საღ. 8 ს. კონსულტანტი ქართულ ენაზე ამხ. ადამია.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი იუწყება, რომ 20 ივნისს, საღ. 7 საათზე რაიკომის პარტკაბინეტის შენობაში შესდგება აგიტ-სემინარის მორიგი მეცადინეობა თემაზე: „დაზვერვა და კონტრდაზვერვა".

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ დომენტი გრიგოლის-ძე მგელაძის სახელზე გაცემული პარტბილეთი № 1503163 დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომი აცხადებს, რომ მის მიერ გაცემული პარტბილეთები: № 1522788—კირილე პლატონის-ძე კოხისა და № 1534778—ილარიონ იაკობის-ძე კვარაცხელიას სახელზე დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომი აცხადებს, რომ მის მიერ 1936 წ. 23 ივლისს დომინიკე ივანეს-ძე გაბედავას სახელზე გაცემული პარტბილეთი № 1531994 დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) ხულოს რაიკომი აცხადებს, რომ ახალი ნიმუშის პარტბილეთი № 1535338, გაცემული აჭაროლქკომის მიერ 1936 წ. 5 სექტემბერს იასონ პავლეს-ძე ულენტის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) ჩხარის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი, № 1532515 გაცემული მის მიერ გეგი ალექსის-ძე ფანჩულიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე
ა. იაკობაშვილი

მარჯანიშვილის სახ. თეატრი	
20-VI	უკანასკნელად ჩატეხილი ხიდი
21-VI	უკანასკნელად სამანიშვილის დედინაცვალი
დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.	

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში	
ოქტომბერი 7, 9, 11	ხმოვ. სურათი „უკანასკნელი ბანაკი" ლიალია ჩერნაიას მონაწილეობით
დამკვრელი 6-30, 8-30, 10-30	საზამ. შენ. მაქსიმეს დაბრუნება საზაფხ. შენ. მგზავრობა არზრუმს
კომკავშირელი 6-30, 8-30, 10-30	საზამთ. შენ. მაქსიმეს სიჭაბუკე საზაფხ. შენ. მაქსიმეს დაბრუნება
რ. ლუქსემბ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	ნარინჯის ველი
26 კომ. სახ. საზამთ. 6-30 საზაფხ. 9	საზამთ. შენობა უმბარი საზაფხ. შენ. აი გული
ახალი ამბები.	„აფრიკაში ცხელა" „ზანგური ზღაპარი" ხმოვ. ჟურნ. № 26
კომინტერნი (საზაფხულო) 8-45, 10-45	ხმოვანი ფილმი ნაზარ სტოდოლია
არსენა (კიროვის სახ. რაიონი) 7, 8-40, 10-20	დიდი ხმოვ. ფილმი ცამეტნი

მედინსტიტუტის 1-ლი კურსის მსმენელი თინა იოსების-ასული ყიფიანი, 17 წლისა, გავიდა სახლიდან ა. წ. 4 ივნისს, საღამოს 7 საათზე და არ დაბრუნებულა. ტანზე აცვია აგურისფერი კრეპდეშინის კაბა, საყელოზე ცისფერი შემოვლებული, ფეხზე აცვია მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მუქი კაკაოსფერი, შავი პალტო, შავი მოქსოვილი შალის ბერეტი. მნახველს ვთხოვ მაცნობოს შემდეგი მისამართით: ვაკე, ფალიაშვილის ქ. № 26. იასონ ყიფიანი. მნახველი მიიღებს ჯილდოს. 17169

20 ივნისს, საღამოს 6 საათზე, ამხ. ბერიას სახელობის კულტურის სახლში, 1-ლი მაისის ქ. № 10,

სარეწაო კავშირი იწვევს აქტივის კრებას.

17183 პრეზიდიუმი.

მიიღება ხელისმოწერა

1937 წლის I-ლი ივლისისათვის და წლის ბოლომდე

გაზეთები:

„კომუნისტი"
1 თვით 2 მ. 50 კ., 3 თვით 7 მ. 50 კ., 6 თვით 15 მან.

„ახალგაზრდა კომუნისტი"
1 თვით 2 მან. 50 კ., 6 თვით 15 მან., 3 თვით 7 მ. 50 კ.

„ნორჩი ლენინელი"
1 თვით 25 კაპ., 6 თვით 1 მ. 50 კაპ., 3 თვით 75 კ.

ჟურნალები

„ბოლშევიკი"
1 თვით 50 კაპ., 6 თვით 3 მან.

„ახალგაზრდა ბოლშევიკი"
1 თვით 50 კაპ., 6 თვით 3 მან.

„პიონერი"
1 თვით 50 კ., 6 თვით 3 მან.

„მშრომელი ქალი"
1 თვით 40 კაპ., 6 თვით 2 მ. 40 კ.

„ოქტომბრელი"
1 თვით 50 კ., 6 თვით 3 მან.

ხელისმოწერა უნდა ჩააბარდეს:

„სოიუზპეჩატს", ფოსტას, წერილდამტარებლებს, ხელისმოწერის შემკრებთ საწარმოებსა და დაწესებულებებში და პოლიტგანყოფილებათა გამომცემლობებს ტრანსპორტზე. ხელისმოწერის უკანასკნელი ვადაა—27 ივნისი ჩათვლით.

3-1 საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა „კომუნისტი".

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს,

რომ ა. წ. 26 ივნისს, დღის 12 საათზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში შესდგება ეკონომიური ფაკულტეტის **საბჭოს საჯარო სხდომა,** რომელზედაც ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. დოც. გ. ჯანელიძე: „ს. წულუკიძე პოლიტიკური ეკონომიის ზოგიერთი საკითხების შესახებ".

ოფიციალური ოპონენტები: პროფ. კ. ორაგველიძე და პროფ. რ. მელაძე.

2. ე. ბეჟპროჭვანაია—ეკონომიური მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „შრომის ნაყოფიერების საკითხი ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში".

ოფიციალური ოპონენტები: პროფ. კ. ორაგველიძე, პროფ. გ. კვიცარიძე, დოც. ი. მიქელაძე.

1135 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ა. წ. 22 ივნისს, საღამოს 7 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრში მოწვეულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

კომკავშირის ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება

დღის წესრიგი:

1. სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის ანგარიში.
2. არჩევნები.

კომკავშირის ყველა წევრისა და კანდიდატის დასწრება სავალდებულოა.

1134 2—1 ალკკ თსუ კომიტეტის მდივანი ვ. ოჩიგავა.

თბილისის კომუნალური მშენებლობის ტექნიკუმში მიღების პირობები

1937/38 სასწავლო წლისათვის.

თბილისის კომუნალური მშენებლობის ტექნიკუმი ამზადებს სპეციალისტებს (ტექნიკოსებს ფართო პროფილით), კომუნალური მეურნეობისათვის შემდეგი განხრებით: ა) კომუნალური მშენებლობისა, ბ) საამშენებლო-საარქიტექტურო და გ) სახანძრო ტექნიკურისა.

ტექნიკუმში მიიღებიან ახალგაზრდები 16-დან 30 წლამდე, რომელნიც წარმოადგენენ არასრული საშუალო სკოლის (შვიდწლედი) დამთავრების მოწმობას.

ტექნიკუმში მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით.

განცხადება გამოცდებზე დასაშვებად შემოტანილ უნდა იქნას ტექნიკუმში სპეციალობის აღნიშვნით და შემდეგი საბუთების დართვით: ა) არასრული საშუალო სკოლის (შვიდწლედის) დამთავრების მოწმობა, ბ) ჯანმრთელობის, გ) წლოვანების მოწმობა, დ) სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების მოწმობა, ე) ორი ფოტოგრაფიული სურათი.

მიღება მოხდება გამოცდების ჩაბარებით შემდეგ საგნებში: ა) მათემატიკა—წერითი და ზეპირი, ბ) ქართული ენა—წერა და ზეპირი, გ) ფიზიკა, დ) ისტორია და ე) ხაზვა.

შენიშვნა: საამშენებლო-საარქიტექტურო სპეციალობისათვის დამატებითი გამოცდა ხატვაში.

ტექნიკუმთან არსებობს მოსამზადებელი კურსები ტექნიკუმში შემსვლელთათვის. აღნიშნულ კურსებზე მიღება გაგრძელებულია ივლისის 1-ლამდე.

მუშფაკ-ათწლედ დამთავრებულნი და ფრიადოსნები მიიღებიან უგამოცდოდ. განცხადებები მიიღება 23 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები დაიწყება 25 აგვისტოს. ტექნიკუმში მეცადინეობა დაიწყება 1-ლ სექტემბერს.

განცხადებათა მიღება და ცნობების გაცემა სწარმოებს ყოველდღე დილის 10 საათიდან 4 საათამდე.

ტექნიკუმი მოთავსებულია ახალ საკუთარ შენობაში: საბურთალო, რუისის ქუჩა, № 49.

2-2 221 ტექნიკუმის დირექცია.

თანახმად ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის დადგენილებისა № 24, ყოფილ სატყეო სამმართველოსთან არსებული სატყეო მარაგგასაღების კანტორა

ლიკვიდირებულია

ლიკვიდკომი ყველა პრეტენზიებს მიიღებს ა. წ. 1 ივლისამდე, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები მიღებული არ იქნება. პუშკინის ქ. № 8, მესამე სართული, ოთახი № 15.

17168 ლიკვიდკომი.

საქჯანსახკომის ა/წ. 25 მაისის ბრძანების № 117 საფუძველზე „საქმინწყალის" თბილისის განყოფილება

ლიკვიდირებულია

ყოველგვარი პრეტენზიები განყოფილების მიმართ უნდა წარედგინოს ლიკვიდკომს, რუსთაველის ქ. № 12.

პრეტენზიები წარდგენილ უნდა იქნას ა. წ. 1-ლ ივლისამდე. აღნიშნული ვადის შემდეგ პრეტენზია არ მიიღება.

17165 ლიკვიდკომი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა აცხადებს, რომ გამოვიდა

რუსულ-ქართული ლექსიკონი

წიგნი შეიცავს $76^1/_2$ ნაბეჭდ ფორმას, კოლენკორის მაგარ ყდაში. ფასი 22 მანეთი.

ლექსიკონი გაიყიდება ა. წ. 22 ივნისიდან მხოლოდდამხოლოდ გამომცემლობის მიერ დილის 9 საათიდან დღის 5 საათამდე:

1. ლენინის ქუჩა № 36-ში და
2. სახუნივერსიტეტის შენობაში არსებულ წიგნის კიოსკში, მარრის ქ. № 1.

პირველ რიგში ლექსიკონის გაყიდვა იწარმოებს ხელისმომწერლებზე. ქ. თბილისის ხელისმომწერლებმა ლექსიკონის მიღებისას უნდა წარმოადგინონ ქვითრები და გადაიხადონ დამატებით თანხა.

მხოლოდ ხელისმომწერლებს რაიონებიდან ლექსიკონი გადაეგზავნებათ ფოსტით ფასდადებით.

1132 სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექცია.

საქართველოს განათლების სახ. კომისარიატის სასკოლო მშენებლობის საპროექტო-საარქიტექტურო სახელოსნო, თანახმად სახკომსაბჭოს გასული წლის 2 ნოემბრის დადგენილებისა,

ლიკვიდირებულია

ყოველგვარი პრეტენზიები წარდგენილი უნდა იქნას სალიკვიდაციო კომისიაში. მისამართი: რუსთაველის პროსპექტი, № 31, ოთახი 22, ამ განცხადების გამოქვეყნებიდან 25 ივნისამდე, რის შემდეგ წარდგენილი პრეტენზიები განხილული არ იქნება.

17167 ლიკვიდკომი.

ქ. თბილისის ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებების, ფაბქარხადგილკომების და ადგილზე პრესის დარგში საზოგადოებრივ რწმუნებულთა

საყურადღებოდ

გაზეთებსა და ჟურნალებზე **თქვენს ხელმოწერას, რაც წლის პირველი ნახევრისათვის 6 თვით ჩააბარეთ, ვადა გაუდის.**

თავის დროზე ჩააბარეთ ხელმოწერა „სოიუზპეჩატს" და საფოსტო განყოფილებებს ხანგრძლივი ვადით. თავის დროზე ჩაბარებული ხელმოწერა უზრუნველჰყოფს, უწინარეს ყოვლისა, წესიერად მიწოდებას იმისათვის, რომ თავიდან აიცილოთ შეფერხება გამოწერილი გაზეთებისა და ჟურნალების მიღებაში, ნუ დაელოდებით ხელმოწერის მიღების უკანასკნელ დღეებს, თავის დროზე ჩააბარეთ ხელმოწერა (ივნისში).

ადგილობრივ დაუკავშირდით „სოიუზპეჩატის" რაიბიუროებსა და საფოსტო განყოფილებებს.

150 „საქსოიუზპეჩატი".

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო—3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ/მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება

ამხ. ს. თოიძის სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 8.

მთავლიტის რწმუნებული შ — 2591